




სპარსული მასალები
XVI-XVII საუკუნეების
ქართულ მოღვაწეთა შესახებ



მორთვა მუდრი ფათეში



ქართული
ნაციონალური
ბიბლიოთეკა

სპარსული მასალები
XVI-XVII საუკუნეების
ქართულ მოღვაწეთა შესახებ

F 13.938
2

14-



გამომცემლობა „საბჭოთა საქართველო“
თბილისი — 1982

9 (C41)

63 . 3 (2Г)

9 (47 . 922) (001) + 90 (55)

ბ. 853



ნაშრომის ავტორი მ. ფათევი ეროვნებით ირანელია, ცხოვრობს და მუშაობს საქართველოში. მას ეკუთვნის გამოკვლევები ირანის ეკონომიკისა და ისტორიის საკითხებზე. მანვე თარგმნა სპარსულად „ვეფხისტყაოსნის“ ცალკეული თავები, ვაჟა-ფშაველასა და ნ. ბარათაშვილის ნაწარმოებები.

წინამდებარე ნაშრომში სპარსული მასალების საფუძველზე განხილულია XVI—XVII საუკუნეების საქართველოსა და ირანის ისტორიული ურთიერთობის საკითხები, წარმოდგენილია ცნობები როგორც ირანში, ასევე საქართველოში მოღვაწე ქართველების შესახებ.

რ ე ც ე ნ ზ ე ნ ტ ე ბ ი :

ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი
დ. კაციტაძე

ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი
ბ. შივაშვილი



საქართველოს პარლამენტის
ეროვნული ბიბლიოთეკა

K69 224

10601—132

Ф _____ 59 . 82

M 601 (08) 82

© გამომცემლობა „საბჭოთა საქართველო“ თბილისი 1982

I. საქართველო-ირანის ურთიერთობათა მოკლე მიმოხილვა უძველესი დროიდან XVI საუკუნემდე

საქართველოსა და ირანს შორის ურთიერთობას უძველესი ისტორიული ფესვები აქვს, რასაც ნათლად მოწმობს მატერიალური კულტურის მრავალრიცხოვანი ძეგლები (არქეოლოგიური გათხრების შედეგად ნაპოვნი ნივთები, ისტორიული წარწერები, ნუმიზმატიკური მასალები და სხვ.).

ჩვენს ერამდე VI საუკუნეში აქემენიანთა პირველი ირანული სამეფოს (558—330 წწ. ჩვ. ერამდე) სახელმწიფო საზღვრები კავკასიის მთაგრებილებამდე აღწევდა (1, გვ. 117 — 118 და მასზე დართული გეოგრაფიული რუკა).

უნდა აღინიშნოს, რომ ჯერ კიდევ ჩვენს ერამდე VIII — VII საუკუნეებში საქართველოსა და ირანის ტერიტორიაზე შექმნილი იყო ორი ძლიერი სახელმწიფო: აღმოსავლეთ — ქართული გაერთიანება (სასპერთა — ბერძნული წყაროების თანახმად), რომელიც მდებარეობდა კოლხეთისა და კავკასიის სამხრეთ რაიონებს შორის, და მიდიის სამეფო, რომელიც ირანის ჩრდილო აღმოსავლეთით იყო. VII საუკუნის II ნახევარში ორივე სახელმწიფომ გააფართოვა თავისი ტერიტორიები. მათ დაამარცხეს ურარტუს სახელმწიფო და ერთმანეთის მეზობლად აღმოჩნდნენ. არსებული მონაცემების შესაბამისად, ჯერ კიდევ VI საუკუნეში, ხელისუფლების სათავეში აქემენიან-

თა მოსვლამდე, საქართველოსა და ირანის ცალკეულ რაიონებს შორის კავშირი იყო დამყარებული.



V საუკუნეში ჩვ. ერამდე საქართველოს ზოგიერთი რაიონი (შავი ზღვის სამხრეთ-აღმოსავლეთი სანაპირო) აქემენიანთა სახელმწიფოს შემადგენლობაში შედიოდა (2, გვ. 43).

ჩვ. ერამდე III საუკუნის შუახანებში სელევკიანთა მეფე ანტიოქ I-ის (280—261 წწ.) დახმარებით ქართლის მეფე ფარნაოზმა ქვეყნიდან განდევნა ბერძენთა ჯარები, რომლებსაც აღმოსავლეთი და სამხრეთი საქართველო ეკავათ. ეს კი, საქართველოს ტერიტორიის განთავისუფლებასთან ერთად, ორი სახელმწიფოს შორის მეგობრული ურთიერთობის დამყარებასაც უწყობდა ხელს. სავაჭრო ურთიერთობა დასავლეთსა და აღმოსავლეთს შორის ხორციელდებოდა ირანის მეშვეობით (3, გვ. 54).

საქართველოსა და ირანს შორის ურთიერთობა გაფართოვდა ჩვენი წ. ა. III საუკუნის შუახანებიდან. სასანიანთა ოთხასწლოვანი მეფობის მანძილზე ქართველი ხალხი შეუპოვარ განმათავისუფლებელ ბრძოლას ეწეოდა თავისი ქვეყნის დამპყრობთა წინააღმდეგ. ამასთან დაკავშირებით უნდა გავიხსენოთ, რომ საქართველოში არაერთგზის შემოჭრილან სასანიანთა შაჰები (შაბურ I — 260 წელს, შაბურ II — 368 წელს, ყობად I — 526 წელს, ხოსროვ I — 557 წელს და სხვ.). ამ პერიოდში გაიზარდა ქართველ მოღვაწეთა როლი ირანში. სასანიანთა ეპოქაში ურთიერთობა ამ ორ სახელმწიფოს შორის, ისევე, როგორც წინარე ხანაში, გარკვეულ წილად დამოკიდებული იყო ირანის სამხედრო-ადმინისტრაციულ მდგომარეობაზე. ირანსა და რომის იმპერიას შორის საქართველოს გეოგრაფიული მდებარეობა და ამ ორი სახელმწიფოს ბრძოლა თავიანთი გავლენის სფეროების გაფართოებისათვის, პერიოდულ ცვლი-



ლებებს იწვევდა კავკასიის ქვეყნებთან მათს დამოკიდებუ-
 ლებაში.

სასანიანთა დინასტიის დამაარსებლის არდაშირ პაპაქანის შვილმა შაბურ I-მა მას შემდეგ (260 წ.), რაც რომის იმპერატორი ვალერიანე დაამარცხა, საქართველოს (ქართლის) ნაწილიც დაიპყრო. ზოგიერთი ისტორიკოსის ცნობით, შაბურ I-მა იქ გაგზავნა თავისი შვილი მეპრანი, რომელმაც მიიღო ქრისტიანობა და საქართველოში „ხოსროვანთა“ დინასტიას ჩაუყარა საფუძველი (I, გვ. 284, და 3, გვ. 54). შაბურის მემკვიდრემ ვერ შეინარჩუნა მის მიერ დაპყრობილი ტერიტორია. რომის იმპერატორ დიოკლეტიანესა და სასანიან შაპ ნერსეს შორის 298 წელს დადებული ნისიბინის ხელშეკრულების თანახმად, იბერია რომის იმპერიის გავლენის სფეროში მოექცა. მაგრამ ეს ხელშეკრულება შემდეგში არაერთხელ შეიცვალა და 363 წელს დადებული ნისიბინის ახალი ხელშეკრულებით ირანმა კვლავ შემოიერთა იბერია.

ირანსა და რომს შორის ურთიერთობა (განსაკუთრებით აღმოსავლეთში) ქრისტიანობის გავრცელებისა და კავკასიის ხალხების მიერ მისი ოფიციალურ რელიგიად მიღების შემდეგ გამწვავდა. დიდმა სახელმწიფოებმა რელიგია ახალი ომების გაჩაღებისა და თავიანთი ტერიტორიების გაფართოების საბაბად გამოიყენეს. ამას უნდა დაემატოს 330 წელს აღმოსავლეთ რომის, ანუ ბიზანტიის იმპერიის წარმოქმნა და იქ ქრისტიანობის სახელმწიფო რელიგიად გამოცხადება.

376 წელს, ხანგრძლივი ომების შემდეგ, შაბურ II და რომის იმპერატორი ვალენტინიანე შეთანხმდნენ, რომ აღარ ჩარეულიყვნენ კავკასიის ხალხების საშინაო საქმეებში (I, გვ. 304). მაგრამ მომდევნო წლებში მათ დაარღვიეს ეს შეთანხმება და არაერთხელ შეიჭრნენ კავკასიის ქვეყნებში. 387 წელს დადებული საზავო ხელშეკრულების თანახმად, საქარ-

თველოს ტერიტორია ორ ნაწილად გაიყო: დასავლეთ საქართველო ბიზანტიის იმპერიის გავლენის სფეროში შევიდა, ხოლო აღმოსავლეთ საქართველოზე (ქართლი) ირანის გავლენა გავრცელდა. ამასთან ერთად, ორივე მხარემ ვალდებულება იკისრა შეენარჩუნებინათ ამ ქვეყნების ავტონომია, მიეცათ მათთვის სახელმწიფო რელიგიური პრივილეგიები.

V საუკუნეში სასანიანთა შაჰები — ბაპრამ გური (421 — 438 წწ.), იახდიგერდ II (438 — 457 წწ.) და ფირუზი (459 — 484 წწ.) ცდილობდნენ შეეზღუდათ კავკასიის ხალხების ავტონომია. ქრისტიანობის წინააღმდეგ ბრძოლის საბაბით ისინი ადგილობრივ მმართველობას ავიწროებდნენ, იქ თავიანთ ვასალებს ნიშნავდნენ, რითაც ცდილობდნენ თავიანთი ნებასურვილისათვის დაემორჩილებინათ ადგილობრივი მმართველები და მძიმე ხარკის გადახდა დაეკისრებინათ მათთვის.

სასანიანთა შაჰების მკაცრი ზომები ამხედრებდა კავკასიის ხალხებს მოძალადეთა წინააღმდეგ. V საუკუნის II ნახევარში დიდმა სახალხო მოძრაობამ იფეთქა საქართველოსა და სომხეთში. ირანის ჯარებმა ჩააქრეს პირველი აჯანყებები, მაგრამ გამოსვლები არ წყდებოდა. კავკასიის ხალხების ბრძოლამ განსაკუთრებით მძაფრი ხასიათი მიიღო 80-იან წლებში. ამ ბრძოლას სათავეში ედგნენ საქართველოს (ქართლის) მეფე ვახტანგ გორგასალი და სომეხი მხედართმთავარი ვარდან მამიკონიანი.

ჯერ კიდევ 466 წელს, ვახტანგი ერთხანს სასანიანთა შაჰ ფირუზთან იმყოფებოდა. მან მონაწილეობა მიიღო შაჰის მიერ ჩრდილოეთში მოწყობილ ლაშქრობაში. მაგრამ მალე ვახტანგ გორგასალი ქართლში გაეშურა თავის სამშობლოს დასაცავად და აჯანყებას ჩაუდგა სათავეში. თუმცა ქართველ-სომეხთა მხედართმთავრებს შორის უთანხმოების გამო ირანის ჯარებმა აჯანყება ჩააქრეს, ამ აჯანყებას უკვალოდ არ ჩაუვლია: ირანის



შაპი ბალაში (484 — 488 წწ.) იძულებული იყო ზოგიერთი პრივილეგია მიეცა კავკასიის ხალხებისათვის, კერძოდ, ქრისტიანობა მან ოფიციალურ რელიგიად აღიარა (I, გვ. 319). უკვე VI საუკუნის დამდეგს საქართველოს ტერიტორიის დიდი ნაწილი განთავისუფლდა სასანიანთა ჯარებისაგან. ამ საუკუნის 30-იანი წლების დასაწყისში დასავლეთ საქართველოს (ეგრი-სი, ლაზიკა) სამეფოში მოსახლეობა აჯანყდა მეფე წათეს მე-თაურობით, სასანიანთა შაპის ყობად I-ის წინააღმდეგ. 526 წელს სასანიელთა ჯარებმა ლაზიკა, ხოლო შემდეგ იბერიაც დაიკავეს, მაგრამ შემდეგში ისინი ბიზანტიელებმა დაამარცხეს და სასანიელთა სახელმწიფო იძულებული გახდა 532 წელს ზავი დაედო იმპერატორ იუსტინიანესთან. ამ ზავის პირობების თანახმად ლაზიკამ თავისი ადრინდელი მდგომარეობა შეინარჩუნა (I, გვ. 329).

სასანიანთა მდგომარეობა კვლავ განმტკიცდა ხოსროვ I ანუშირვანის დროს (531 — 579 წწ.). ანუშირვანი ცდილობდა კონტროლი დაეწესებინა ამიერკავკასიის მნიშვნელოვან სავაჭრო და სტრატეგიულ გზებზე. ამ მიზნით VI საუკუნის 40-იანი წლებიდან იგი შავი ზღვის სანაპიროს, კერძოდ, ეგრისის რაიონების დაპყრობას შეუდგა, მაგრამ ხოსროვ I ანუშირვანის წინააღმდეგ აჯანყდნენ ეგრისელები გუბაზ მიფის მეთაურობით. გუბაზ მეფემ ბიზანტიის ჯარების დახმარებით ორჯერ (549 და 551 წწ.) დაამარცხა ირანელთა გარნიზონი, რომელსაც პეტრას ციხე ეკავა (2, გვ. 195).

ირანელ და რომაელ ჯარებს შორის ომი, რომელიც დასავლეთ საქართველოს დაპყრობას ისახავდა მიზნად, 17 წელიწადს (540 — 557 წწ.) გაგრძელდა, ბოლოს, გაქიანურებული ომით მოღლილი ორივე მხარე შეთანხმდა ხუთი წლის ვადით (557 — 562 წწ.) დაედოთ საზავო ხელშეკრულება. ამ ხელშეკრულებით ირანი ვალდებულებას კისრულობდა ჯარები გაე-


ყვანა ლაზიკიდან და არ ჩარეულიყო ირანის ფარგლებში მცხოვრებ ქრისტიანთა საქმეებში.

თავისი ხელისუფლების განმტკიცების მიზნით, სამხედრო-ადმინისტრაციულ და ეკონომიკურ რეფორმებს ატარებდა. ამ რეფორმების საფუძველზე ირანის ტერიტორია ოთხ ქუსტაქად (მხარედ) დაიყო. იბერია, სომხეთთან და ალბანეთთან ერთად, ჩრდილოეთ ქუსტაქის შემადგენლობაში შედიოდა. მაგრამ ხოსროვის რეფორმები დიდხანს არ გაგრძელებულა. მდგომარეობა რამდენჯერმე შეიცვალა ცენტრალური ხელისუფლების სისუსტის შედეგად ანუშირვანის მემკვიდრეების, სასანელთა უკანასკნელი შაჰების — ჰორმუზ IV-ის, ხოსროვ II-ის, არდაშირ III-ის, იაზდიგერდ III-ის მმართველობის წლებში, როცა მათ ბიზანტიასთან ომებში მარცხი განიცადეს.

589 წელს ჰორმუზ IV-მ თავისი ჯარი ბაჰრამის მეთაურობით საქართველოში (ლაზიკა) გაგზავნა, მაგრამ ჯარი დამარცხდა და ირანში დაბრუნდა.

591 წელს ჰორმუზის მემკვიდრე ხოსროვ II ფარვიზი (590 — 628 წწ.) ბიზანტიის იმპერატორმა დაამარცხა და იგი იძულებული გახდა კავკასიის ოლქები, მათ შორის ქართლის ნაწილი, დაეთმო. 626 წელს იმპერატორმა ჰერაკლემ დაამარცხა ხოსროვ II და თბილისი დაიპყრო. ირანის შაჰები ზედიზედ მარცხდებოდნენ სასანიანთა დინასტიის დასასრულამდე (იაზდიგერდ III) და არაბთა სახალიფოს მიერ ირანის დაპყრობამდე (642 წ.).

საქართველოსა და ირანს შორის უძველესი დროიდან არსებული მრავალსაუკუნოვანი კავშირურთიერთობა, უარყოფით სამხედრო და პოლიტიკურ შედეგებთან ერთად, ხელს უწყობდა ორ ხალხს შორის სულიერი და კულტურული ურთიერთობის განვითარებას. ამას მოწმობს ირანსა და საქართველო-



ში სოციალური და იდეოლოგიური მიმართულებების, მათ შორის მანიქეველობის, მაზდაკიანობის და აგრეთვე ცალკეულ ლიტერატურულ-ენობრივი ელემენტების გავრცელება.

ზოროასტრიზმი, რომელიც სახელმწიფო რელიგიას წარმოადგენდა, მუდმივი მხარდაჭერით სარგებლობდა ირანის მმართველი წრეებისა და თვით შაჰების მხრივ. „ზოროასტრულ ტაძრებს ეკუთვნოდა ვრცელი მიწები და სხვა მატერიალური რესურსები, რომლებიც წარმოადგენდნენ სახელმწიფოს ძირითად ეკონომიურ და პოლიტიკურ ძალას“ (9, გვ. 110). ზოროასტრიზმმა გზა გაიკაფა სხვა ქვეყნებში, ძირითადად, მოსახლეობის მაღალი ფენების და, უწინარეს ყოვლისა, სასანელთა მიერ დანიშნული მმართველების შემწეობით. ამ რელიგიის იძულებით გავრცელება ბევრ უსიამოვნებას აყენებდა სხვა ხალხებს, აღვივებდა უთანხმოებას და ომებს. ქართველი ხალხისათვის ზოროასტრიზმის ძალდატანებითი თავზე მოხვევის სავალალო შედეგები მკვეთრად არის ასახული იაკობ ხუცესის V საუკუნის ძეგლში „შუშანიკის წამება“, სადაც ავტორი მოგვითხრობს იმის შესახებ, რომ ქართლის პიტიასშმა ვარსკენმა რომელმაც ზოროასტრული სარწმუნოება მიიღო, სცადა, რომ თავისი ცოლი შუშანიკიც ცეცხლთაყვანისმცემელი გამხდარიყო. შუშანიკმა დიდი წამება გადაიტანა, მაგრამ ქმრის მოთხოვნას მაინც არ დაჰყვა.

მიუხედავად დიდი წინააღმდეგობისა, ზოროასტრიზმი გავრცელდა კავკასიის ქვეყნებში და მათ შორის საქართველოშიც. „ქართლში, განსაკუთრებით სასანიანთა ბატონობის ეპოქაში, — აღნიშნავენ ქართველი ისტორიკოსები, — რამდენადმე გაძლიერდა ცეცხლის კულტი“ (2, გვ. 84). გავრცელდა ზოროასტრიზმის მოძღვრებაც კეთილის ბოროტთან, სინათლის სიბნელესთან მარადიული ბრძოლის შესახებ, რაც ადამიანის ცხოვრებისა და საქმიანობის მიზანმიმართულებად ითვლებოდა.



სასანიანთა ეპოქაში წარმოიშვა მანიქეველთა (III ს.) და მაზდაკიანთა (V — VI ს.) პროგრესული მიმდინარეობები. მიმდინარეობები წარმოადგენდა საშუალო ფენებისა და საზოგადოების ოპოზიციური ჯგუფების იდეურ ძალას, რაც აიარაღებდა ხალხის მასებს მჩაგვრელთა და სასახლის წარჩინებულთა წინააღმდეგ, აგრეთვე ზოროასტრულ მოგვებთან (ქურუმებთან) საბრძოლველად. ეს უკანასკნელნი ხომ სახელმწიფო ხელისუფლების დამცველები იყვნენ.

მანიქეველობა არსებული წყობილების წინააღმდეგ გამოდიოდა. იგი აერთიანებდა სხვადასხვა იდეოლოგიის (ბუდიზმის, ზოროასტრიზმის, ქრისტიანობის და სხვ.) ელემენტებს და ძალიან სწრაფად იკათვებდა გზას ირანსა და სხვა ქვეყნებში. „მანიქეველობა, — აღნიშნავენ საბჭოთა ირანისტები, — მოკლე დროში ფართოდ გავრცელდა არა მარტო მესოპოტამიასა და ირანში, არამედ რომის იმპერიაშიც (თვით ჩრდილოეთ აფრიკამდე და ესპანეთამდე), შუა აზიაში და შემდეგ უილურებს შორისაც“ (9, გვ. III). იგულისხმება, რომ მან გავლენა მოახდინა კავკასიის ქვეყნებზეც.

დიდი პოპულარობით სარგებლობდა მაზდაკური მიმდინარეობა. ეს მოძღვრება, რომელიც სწრაფად გავრცელდა მოსახლეობის დაბალ ფენებში, მჩაგვრელთა წინააღმდეგ ბრძოლის მძლავრ იარაღად იქცა, მან შეარყია არსებული საზოგადოებრივი წყობილების საფუძვლები და ფეოდალებისა და არისტოკრატების კერძო საკუთრების უფლება. მაზდაკიანობას დროებით მიემხრო სასანიანთა შაჰი ყობადიც.

ისევე როგორც მანიქეველობა, მაზდაკიზმის იდეური მიმდინარეობაც შაჰის და სასახლის წარჩინებულთა ხელისუფლების მიერ მთავარ საფრთხედ იყო მიჩნეული. მათ წინააღმდეგ იყო დარაზმული სახელმწიფოს მთელი ძალები; საბო-



ლოოდ ისინი გაანადგურეს სასანიანთა შაჰებმა ბაჰრამ I-მა და ხოსროვ I-მა. მანი და მაზდაკი სიკვდილით დასაჯეს.

ძველი ღროიდან ირანსა და საქართველოში გავრცელდა ზოგიერთი ლიტერატურულ-ენობრივი ელემენტი, რომელსაც მომდევნო ეპოქებშიც ვხვდებით. ამ მხრივ დამახასიათებელია ორივე ქვეყნის ტერიტორიაზე გამოყენება რიგი სიტყვებისა, ტერმინებისა და საკუთარი სახელებისა, რომლებიც ნასესხებია ზოროასტრული ავესტის ძველი კანონიკური ტექსტიდან — იაშთიდან. მათ რიცხვში შეიძლება დავასახელოთ საკუთარი სახელები: ჯამშიდი (ახალ სპარ. — ჯამშიდ, ავესტ. იიმა, განყ. 8, იაშთი 8); ფერიდონი (ახალ სპარ. ფერეიდუნ, ავესტ. თრაეტონა, განყ. 131, იაშთი 17); მანუჩარი (ახალ სპარ. მანუჩჰრი, ავესტ. მანუჩითრა, განყ. 131, იაშთი 13), თეიმურაზი (ახალ სპარ. თაჰმურას, ავესტ. თაჰმარუფი, განყ. 29, იაშთი 15), მერდად — მიჰრდადი (ახალ სპარ. მეჰრდადი, ავესტ. მითრა, იაშთი 15) და სხვ. (4. გვ. 4 — 12). აქ შედის აგრეთვე სოციალურ-ადმინისტრაციული და სამხედრო ტერმინები: აზნაური (თავისუფალი, სახელოვანი), სპასპეტი (მხედართმთავარი), დარბაზი (საბჭო) და გვიანდელი სეფაჰსალარი, ამილახორი, ამირბარი და სხვ.

მაგალითისათვის შეიძლება კიდევ დავგვასახელებინა ტერმინი — ტიტული „პიტიახში“ (ადგილობრივი ქართველი მმართველი და ირანის შაჰთან დაახლოებული დიდებული), რაც დიდხანს გამოიყენებოდა ირანსა და საქართველოში. ზოგიერთი მეცნიერის აზრით, ეს ტერმინი „საქართველოში შეიჭრა ირანიდან ჯერ კიდევ აქემენიანთა ეპოქაში“ (5, გვ. 10 და 6, გვ. 163), მაგრამ მას იყენებდნენ მომდევნო ეპოქებშიც. გ. წერეთლის დადასტურებით I — III საუკუნეებში იბერიაში იყენენ ადგილობრივი იბერიელი პიტიახშები (7). მაგალითად, I საუკუნის არმაზის წარწერაში მოიპოვება ცნობა მიჰრდად-შა-

რაგას მეფისა და სხვა პიტიახშების შესახებ. არმაზის საფლავის ქვაზე გამოსახულია (II საუკ.) პიტიახში ზევახბე მისი უფლად ასპავრუკი და სხვები (2, გვ. 76 — 78).

ირანის სახელმწიფოში იბერიელი პიტიახშების ადგილისა და თანამდებობის თაობაზე ისტორიკოსები ამტკიცებენ, რომ „ჩვენი წ. აღ. I — III საუკუნეების პიტიახშები წარმოადგენდნენ დიდი თანამდებობის პირებს იბერიაში, ხოლო მომდევნო საუკუნეების პიტიახშები ჩვენ წარმოგვიდგებიან, როგორც სასანიანთა ირანის მოხელენი, ქართლში მისი სახელმწიფო აპარატის აგენტებად“ (5, გვ. 11 და 8, გვ. 298).

სასანიანთა ეპოქაში ქართველ სახელმწიფო მოღვაწეებს რომ დიდი ადგილი ეკავათ, ამას მოწმობს 262 წლით დათარიღებული შაბურ I-ის სამენოვანი წარწერა (ნაყზე როსთამის კლდეზე პერსოპოლისის ახლოს), რომელიც მან რომის იმპერატორ ვალერიანზე გამარჯვებას მიუძღვნა. ამ წარწერაში ჩამოთვლილ 66 დიდებულთა შორის იბერიის მეფე არმაზის შაჰინშაჰის შემდეგ მეოთხე ადგილზეა მოხსენიებული (საშუალო სპარსული ტექსტი, 30-31 სტრიქონი, პართული 24-25, ბერძნული 59-60) (5, გვ. 4). ირანში ქართველი პიტიახშების დიდი ავტორიტეტის დამადასტურებელ მაგალითად გამოდგება იაზდიგერდ II-ის (438 — 457 წწ.) ურთიერთობა ქართლის პიტიახშ არშუშასთან, რომელიც „შაჰს ჰყავდა მიწვეული დედაქალაქში, რათა მასთან ერთად განეხილა ქართლის საქმეები. არშუშა სარგებლობდა მეცნიერისა და გამოცდილი მრჩევლის რეპუტაციით... არშუშას გავლენიან სახლს შეეძლო მეფისათვის უზრუნველყო ქართლის ბევრი სახელმწიფო მოღვაწის ერთგულება. შაჰინშაჰი ღირსეულად აფასებდა პიტიახშის მხარდაჭერას“ (2, გვ. 92).

ირანსა და საქართველოს შორის ურთიერთობა ვითარდებოდა შუა საუკუნეებშიც მას შემდეგ, რაც ირანი არაბებმა და-



იპყრეს. ეს განსაკუთრებით იმ დროს ეხება, როცა ორივე ხალხი ერთ ბედქვეშ აღმოჩნდა, — მათ განიცადეს უცხოელ დამპყრობთა შემოსევები: არაბებისა (VII — IX საუკუნეებში), თურქებისა და მონღოლებისა.

ირანელი ისტორიკოსები და მოგზაურები: ჰამდოლაჰ მუსტოფი, ნიზამ ოდ-დინ შამი, მონ ოდ-დინ ნათანზი, ხონდემირი და სხვები (XIV — XVI სს.) თავიანთ თხზულებებში („ნეჰჰათ ოლ-ყოლუბი“, „ზაფარ ნამე“, „მონთახაბ ოთ-თავარიხ“, „ჰაბიბ-ოს სიიარ“) იხსენიებენ უცხო დამპყრობლების საქართველოზე არაერთგზის თავდასხმებს და მისი სიმდიდრეების უმოწყალო ძარცვას, ქართველი ხალხის მიერ განცილდებულ უბედურებებს, სწრაფვას თავისი სამშობლოს გამოსახსნელად.

ამასთან ერთად, შუა საუკუნეებში საქართველოსა და ირანს შორის ვითარდებოდა კულტურული ურთიერთობებიც. საქართველოში საკუთარ უძველეს თვითმყოფად კულტურასთან ერთად ვრცელდებოდა აღმოსავლური კულტურაც. საქართველოს „შესაძლებლობა ჰქონდა შეეთვისებინა, — აღნიშნავენ ქართველი ისტორიკოსები, — როგორც დასავლური, ქრისტიანული კულტურა, ასევე ახალი, უაღრესად თავისებური და მრავალმხრივი არაბულ-სპარსული კულტურა...“ (2, გვ. 215). ვითარდება ლიტერატურული ურთიერთობა ორ ხალხს შორის, ითარგმნება სპარსული ლიტერატურის კლასიკოსები: ფიროდოუსი (ნაწყვეტები „შაჰნამედან“), ფაზრ-უდინ-გორგანელი („ვისრამიანის“ სრული ტექსტი), ონსორი და სხვ...

II. სეფიანთა სახელმწიფოს წარმოშობა ირანში

XVI საუკუნის დასაწყისში მნიშვნელოვანი ცვლილებები ხდება ირანის ცხოვრებაში. ეს პერიოდი ქვეყნის ისტორიაში

აღინიშნა ხელისუფლების სათავეში სეფიანთა დინასტიის მოსვლით. XIV საუკუნის დამდეგს ერთ-ერთ ორდენს შეიხ-სეფი-ედ-დინი (1252 — 1334 წწ.) მეთაურობდა. XV საუკუნის II ნახევრიდან სეფიანთა შეიხები, რომლებმაც თავიანთი რელიგიური რეპუტაციით ისარგებლეს, შეუდგნენ უფლება-მოსილებათა გაფართოებას. მათ რელიგიური უფლებები პოლიტიკურ სფეროშიც გაავრცელეს. ამ დროიდან ისინი პერიოდულად იბრძოდნენ ჩრდილოეთის მიმართულებით, განსაკუთრებით მიზანში ჰქონდათ ამოღებული კავკასიის ხალხები, საიდანაც ტყვეები მიჰყავდათ და ნადავლიც მიჰქონდათ. სეფიანთა დინასტიის დამაარსებლის ისმაილ შაჰის წინაპრებს — ჰაჰა ჯუნეიდს (გარდაიცვალა 1460 წელს) და მამა ჰეიდარს (გარდაიცვალა 1488 წელს) არაერთხელ მოუწყვიათ ლაშქრობა საქართველოსა და კავკასიის სხვა მხარეებში. 1502 წელს ისმაილმა შეძლო საბოლოოდ დაემარცხებინა თავისი მოწინააღმდეგენი და სეფიანთა დინასტია დაეფუძნებინა.

თავიანთ მეომრებს სეფიანები „ყიზილბაშებს“ („წითელ თავსაბურავებიანებს“) უწოდებდნენ, რადგან ისინი ატარებდნენ წითელი ზოლებით დამშვენებულ თორმეტნაკეციან ჩაღმებს. მ. ბაჰარის გადმოცემით ასეთი ჩაღმები მათ თავზე მკვიდრად ადგათ (10, გვ. 251). ზოგიერთი ისტორიკოსის მოწმობით, თვითონ ჰეიდარიც ყიზილბაშურ თავსაბურავს ატარებდა. შაჰ აბას I-ის დროინდელი ცნობილი ისტორიკოსი და საზოგადო მოღვაწე ისქანდერ ბეგ თორქემანი (ისქანდერ მუნში), შემდეგნაირად ხსნის სახელწოდება „ყიზილბაშის“ წარმოქმნას და სეფიანთა ხელისუფლების ხასიათს: „მან (ჰეიდარმა) ერთხელ სიზმარი ნახა, რომ იმქვეყნიურ მახარობელთა მითითებით, მას წითელი მაუდისაგან თორმეტნაკეციანი გვირგვინი უნდა დაეწნა, თორმეტი შიიტი იმამისადმი რწმენის სიმბოლოდ და ამ გვირგვინებით ქვეშევრდომების კეფა დაემშვენებინა. ამ სიზმ-

რის შემდეგ სულთანმა (ჰეიდარმა) მოიხადა იმ დროის ტრადიციული თურქმენული ფაფახი და თორმეტნაეციანი გვირგვინი დაიხურა, შემდეგ მას ხელქვეითებმაც მიბაძეს. ამრიგად, — განაგრძობს ისქანდერ ბეგი, — ჰეიდარმა ერთმანეთს შეუხამა საერო და სულიერი მეუფება. სინამდვილეში, ღვთისმოსავი შეიხების ნებით, ის დაადგა წინამძღოლობის გზას, ხოლო ფორმალურად ტახტზე მეფური წესით იჯდა“ (11, გვ. 19).

სეფიანთა გამგებლობის ორასწლოვანი პერიოდის (1502 — 1736 წწ.) ისტორიული მოვლენები მოწმობენ სეფიანთა შაჰების განზრახვას — გაეფართოებინათ თავიანთი ტერიტორია, დაეპყროთ ახალი მიწები. „ჯაჰადის“ (სალეთო ომი უწმინდურთა წინააღმდეგ) საბაბით ისინი იბრძოდნენ მეზობელი ქვეყნების, კერძოდ, ეკონომიკურად და პოლიტიკურად დიდმნიშვნელოვანი ამიერკავკასიის წინააღმდეგ. სწორედ ამ მიზნით, ჯერ კიდევ 1521 წელს, შაჰ ისმაილ I შეეცადა ხელში ჩაეგდო აღმოსავლეთ საქართველო. შემდეგში სეფიანთა შაჰების შემოსევები საქართველოში არაერთხელ განმეორებულა.

თავისი ნახევარსაუკუნოვანი მმართველობის მანძილზე (1514—1576 წწ.) შაჰ თამაზ I მუდამ პოულობდა საბაბს შესეოდა კავკასიის ქვეყნებს, განსაკუთრებით საქართველოს. „ჯაჰადისა“ და მოსახლეობის გამუსლიმანების ღონისძიებით მან არაერთი ლაშქრობა მოაწყო და ახალი ტერიტორიები ჩაიგდო ხელში. 1555 წელს შაჰ თამაზსა და თურქეთის სულთან სულეიმან I-ს შორის ამასიაში დადებული ზავის პირობების თანახმად საქართველო ორ ნაწილად გაყვეს: თურქეთმა დასავლეთ საქართველო (იმერეთი, გურია, აფხაზეთი, სამეგრელო და სამცხის ნაწილი) აირჩია, ხოლო სეფიანებმა ქვეყნის აღმოსავლეთი რაიონები (სამცხის მეორე ნაწილი, ქართლი და კახეთი) დაისაკუთრეს. შაჰ თამაზის შვილის შაჰ მოჰამედ ხოდაბანდეს (1578 — 1587 წწ.) გამგებლობის პერიოდში თურქე-

თის სულთანმა მურადმა ომი განაახლა სეფიანებთან და აღმოსავლეთ საქართველოც დაიკავა.

ციზილბაშთა ჯარების სამხედრო მოქმედებამ საქართველოში კულმინაციურ წერტილს შაჰ აბას I-ის (1587 — 1629 წწ.) დროს მიაღწია. თავისი მმართველობის პირველ წლებში ოსმალეთთან ომში შაჰ აბასმა ვერ მოიპოვა წარმატება და 1590 წელს კონსტანტინეპოლში დადებული ხელშეკრულების თანახმად, იგი იძულებული იყო თურქეთისათვის დაეთმო თავისი სამფლობელოები კავკასიაში. მაგრამ შემდეგში (1603—1613 წწ.) ირანმა თურქეთთან ხანგრძლივ ომში კვლავ დაიბრუნა აღმოსავლეთ საქართველოს რიგი რაიონები. თუმცა ირანელები 1613 წლისათვის თითქმის მთელი აღმოსავლეთ საქართველოს ბატონად თვლიდნენ თავს, მაგრამ ქართველი ხალხი არც ერთი მოძალადის ბატონობას არ ემორჩილებოდა და გამირულად იბრძოდა დამპყრობლების წინააღმდეგ. შაჰი კი ქვეყანას არ ეხსნებოდა და არაერთხელ (1614, 1616, 1617, 1625 წწ.) შეიჭრა საქართველოში.

შაჰ აბას I-ის მემკვიდრეებს შაჰ სეფის (1629 — 1642 წწ.) და აბას II-ს (1642—1666 წწ.) თურქეთთან ომის გაგრძელების თავი არ ჰქონდათ. 1639 წელს თურქეთსა და ირანს შორის დადებული ზავის თანახმად ირანის მმართველებმა შეინარჩუნეს შაჰ აბასის დროს დაპყრობილი ტერიტორიები. ამასთან, ისინი მოხერხებულად სარგებლობდნენ ხოლმე ადგილობრივ თავადებს შორის არსებულ უთანხმოებებით და თავიანთ ვასალებს ნიშნავდნენ საქართველოში.

ციზილბაშების არაერთგზის შემოსევები დიდ მსხვერპლად უჯდებოდა ქართველ ხალხს. მასობრივი ხოცვა-ჟლეტა და მოსახლეობის დატყვევება-გადასახლება, ქვეყნის სიმდიდრის ძარცვა, ისტორიული ძეგლების დანგრევა — აი, არასრული სია იმ უბედურებისა, რაც ხალხს ატყდებოდა თავს.



მუსლიმანური კანონები ნებას რთავდა გაეყლიტათ უცხო სარწმუნოების ხალხი ან სხვადასხვა ხარკითა და გადასახადებით დაეხვეწათ (მათ შორის „ხარაჯით“, „ჯიზიათით“ და სხვებით), თუ ისინი მუსლიმანური რწმენის მიღებაზე უარს იტყოდნენ. განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს, რომ ტერმინი „ჯაჰადი“ თავისთავად გულისხმობს ადამიანთა ხოცვა-ჟლეტას და ფასეულობათა მოსპობას. შაჰ თამაზ I-ის ოთხგზის შემოსევებს საქართველოში (1540, 1546, 1551, 1553 წწ.) ისეთი გამანადგურებელი შედეგები მოჰყვა, რომელსაც თვით სასახლის მოღვაწენი და ისტორიკოსები ვერ უვლიან გვერდს. ამის თვალსაჩინო სურათს წარმოადგენს ჰასან რუმლუს მიერ დაწერილი ისტორიული თხზულების — „აჰსან-ოთ-თავარიხიდან“ მოტანილი ერთი ნაწყვეტი, რომელიც შაჰ თამაზის საქართველოში მეორე ლაშქრობას ეხება. „რელიგიის მფარველი უძლეველი შაჰი, — აღნიშნავს ჰასან რუმლუ — უამრავი მხედრობით საქართველოში გაემართა, მოულოდნელად თავს დაესხა ლებრებს (ულმერთოებს—მ. ფ.), ხელთ იგდო მათი საცხოვრებელი ადგილები, წამოასხა ურიცხვი ძროხა და ცხვარი, გადაწვა მათი სახლები. იმ დღეებში, — განაგრძობს ავტორი — მზე ჯედის (იანვრის თვე) ბოლოში იყო. სასტიკად ციოდა. მდინარე მტკვარს ვერცხლისფერი ყინული გადაკვროდა. დიდთოვლიანობის გამო ველი მთის მწვერვალებს გათანაბრებოდა“ (19, გვ. 297). საქართველოს კიდევ უფრო მეტი უზედურება მოუტანა შაჰ აბას I-ის ლაშქრობებმა. საკმარისია გავიხსენოთ, რომ 1614 წელს სპარსელებმა ტყვედ წაიყვანეს 30 ათასი კაცი და ხელთ იგდეს 40 ათასი სული პირუტყვი, ხოლო 1616 წელს დახოცეს 70 ათასი და ტყვედ ჩაიგდეს 130 ათასი კაცი (11, გვ. 875 — 876 და 900 — 901).


შაჰ აბას I ფართოდ ეწეოდა მოსახლეობის დატყვევებისა და გადასახლების პოლიტიკას. ბევრი ქართველი, სომეხი და



სხვა კავკასიელი ხალხების მნიშვნელოვანი ნაწილი ირანის სხვადასხვა კუთხეში გადაასახლეს. ქართველ ტყვეთა დიდი ნაწილი დაასახლეს მაზანდარანში (ფარაჰ-აბადის და თალი-აბადის რაიონები), ისფაჰანში (ფერეიდანი, ნეჯაფაბადი), ფარსში, აზერბაიჯანში, ხორასანში, ქურთისტანში, ხუზისტანში და სხვ. მარტო 1614 წელს 15 ათასი ოჯახი ფარაჰ-აბადში გადაასახლეს (II, გვ. 881), ხოლო 1616 წელს კიდევ 30 ათასი კაცი მიუმატეს. ამ გადასახლებათა ფართო მასშტაბების შესახებ შეიძლება ვიმსჯელოთ იმ ფაქტითაც, რომ 1625 წლის აჯანყების ჩაქრობის შემდეგ, მხოლოდ კახეთიდან 100 ათას კაცამდე იქნა გადასახლებული ირანში (9, გვ. 184). შაჰ აბასი მკაცრად უსწორდებოდა სახელმწიფო მოღვაწეებს და მათი ოჯახის წევრებს. მან სიკვდილით დასაჯა გიორგი სააკაძის უმცროსი შვილი პაატა და სხვა ქართველი დიდგვაროვნები.

მიუხედავად მკაცრი სამხედრო პოლიტიკური ზომებისა, სეფიანთა შაჰებმა ვერ შეძლეს გაეტეხათ კავკასიელი ხალხების წინააღმდეგობა, რათა შემოემტკიცებინათ მიტაცებული ტერიტორიები. კავკასიის მოსახლეობა განუწყვეტლივ იბრძოდა მათ წინააღმდეგ. დიდმა სახალხო აჯანყებამ იფეთქა საქართველოში ცნობილი პატრიოტებისა და სახელმწიფო მოღვაწეების — თეიმურაზის, გიორგი სააკაძის და სხვათა მეთაურობით. მრავალი წლის მანძილზე (1606 — 1663 წწ.) თეიმურაზი არაერთხელ შებრძოლებია სეფიანთა შაჰებს. შაჰ აბას I-ის წინააღმდეგ დიდ აჯანყებას სათავეში ედგა გიორგი სააკაძე 1624 — 1625 წლებში.

ქართველი ხალხის ქედმოუხრელი ბრძოლა სეფიანთა შაჰის სულთან-ჰუსეინის (1625—1626 წწ.) გამგებლობის დრომდე გრძელდებოდა. მაგრამ, მიუხედავად დიდი ზარალისა და მსხვერპლისა, საქართველო ამ დროს საბოლოოდ ვერ განთავისუფლდა და სახელმწიფო სუვერენიტეტის მოპოვება ვერ



შეძლო. 1723 წელს, ოსმალეთის ჯარები, რომლებმაც უკანას-
 კნელი სეფიანი შაჰების სისუსტით ისარგებლეს, შეიჭრნენ
 მოსავლეთ საქართველოში და თბილისი დაიკავეს (9, გვ. 201).
 ხაზგასმით უნდა აღინიშნოს, რომ ამ პერიოდში თავისი გმირო-
 ბისა და ვაჟკაცობის წყალობით, მრავალი ქართველი სახელ-
 მწიფო მოღვაწე ამდღა ირანში სამოქალაქო და სამხედრო
 სარბიელზე. ამასთან, მათ მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანეს
 ორ ქვეყანას შორის კულტურულ ურთიერთობებში.

როგორც ცნობილია, უშუალო ურთიერთობა ქართველ სა-
 ხელმწიფო მოღვაწეებსა და სეფიან შაჰებს შორის დამყარდა
 შაჰ-თამაზ I-ის გამგებლობის პერიოდში (XVI საუკუნის 40-იან
 წლებში საქართველოში მისი პირველი ლაშქრობის დროს).
 სეფიანთა ირანის დამაარსებელ ისმაილ I-ის საქართველოსთან
 კავშირის შესახებ, ირანელი ავტორები მხოლოდ ზოგადად მო-
 გვიტხრობენ. სპარსელი ისტორიკოსი ხონდემირი (1475 —
 1536 წწ.) იხსენებს ისმაილის პირველ შეხვედრას საქართვე-
 ლოს ცალკეული მხარეების მმართველებთან, მათ შორის დაუდ-
 ბეგთან, ლევან ბეგთან, ყვარყვარესთან, მანუჩართან, რომლე-
 ბიც, როგორც ავტორი წერს, შაჰმა დიდი პატივით მიიღო (19,
 გვ. 291). ცნობილ ისტორიულ თხზულებაში — „თარიხე ალამ
 არაიე აბასი“ — ისმაილის მიერ საქართველოში მოწყობილი
 ლაშქრობების მიზეზების თაობაზე აღნიშნულია: „თავის გამ-
 გებლობის დასაწყისში (XVI საუკ. დამდეგი — მ. ფ.) სულთან
 სულეიმანმა (ოსმალეთის სულთანი — მ. ფ.) თავისი ჯარი გა-
 გზავნა რუსეთსა და ევროპაში (ალბათ, ავტორი ბალკანეთის
 ქვეყნებს გულისხმობს, — მ. ფ.), რათა ჯაჰადი და ლაზავათი
 (წმინდა ომი) ეწარმოებინა მათ წინააღმდეგ. მის უდიდებულე-
 სობას ეწადა, აგრეთვე, ებრძოლა სხვა ურწმუნოთა წინააღმდეგ.
 წლების მანძილზე იგი უძლეველ ჯარებს გზავნიდა საქართვე-
 ლოს წინააღმდეგ, ხოლო თვითონ ამ დროს განცხრომით ცხოვ-
 რობდა“ (11, გვ. 43).

საქართველოსა და ირანს შორის ურთიერთობა სეფიანთა პერიოდში ძირითადად ორი მიმართულებით ვითარდებოდა: კახეთისა, (რომლის ცენტრი გრემი იყო) და ქართლის სამეფოს (დედაქალაქი თბილისი) შორის. ცალკეულ შემთხვევებში სეფიანთა შაჰები დაკავშირებულნი იყვნენ აგრეთვე დასავლეთ საქართველოს მმართველებთან. შაჰ-თამაზ I-ის საქართველოზე პირველი ლაშქრობების დროს (XVI საუკ. 40-იანი წლები) კახეთის მეფე ლევან გიორგის ძე იყო, ხოლო ქართლისა — ლუარსაბ დავითის-ძე, ამ დროს იმერეთში ბაგრატ I (1510 — 1565 წწ.) მეფობდა.

შემდეგში ამ სამეფოების გამგებლები აღნიშნული პირების შემკვიდრეები იყვნენ, რომლებსაც ერთმანეთთან ნათესაური კავშირი ჰქონდათ. ამ პერიოდის ირანელი ისტორიკოსები იხსენიებენ ლევანის შვილების — ალექსანდრეს, იესეს და მისი შვილიშვილების კონსტანტინეს, დავითის და გიორგის, ამ უკანასკნელთა შვილების — თეიმურაზისა და იესეს გამგებლობას. ქართლის მეფეთაგან ისინი იხსენიებენ ლუარსაბ I-ის, მისი შვილების — სიმონისა და დავითის, სიმონის შვილის გიორგის, მისი შვილიშვილის ლუარსაბ II-ის, აგრეთვე ხოსროსა და შაჰნავაზის სახელებს. დასავლეთ საქართველოს მეფეთაგან მოხსენიებულია ბაგრატ მეფე, სიმონის ძე მანუჩარი, მისი შვილი ათაბაგი და სხვები.

III. ქართველ სახელმწიფო მოღვაწეთა ურთიერთობა ირანთან XVI — XVII საუკუნეებში

ა. კახეთის გახიზნვა

ლევან გიორგის ძე (1520—1574 წწ.) შაჰ თამაზმა ოფიციალურად დანიშნა კახეთის მეფედ საქართველოში მეორე

ლაშქრობის პერიოდში (1546 წ.). ისტორიკოსების გადმოცემით შაჰი დიდ პატივს სცემდა მას.

ჯერ კიდევ ლევანის ბავშვობის დროს მოკლეს მისი მამა, ქართლის მეფე დავითი. ლევანი თვითონ კახეთის თავადებმა დამალეს. კახელებმა, რომლებმაც აჯანყება მოაწყვეს დავითის წინააღმდეგ, ლევანი თავის მეფედ გამოაცხადეს. ლევანის საშინაო პოლიტიკა ქვეყნის გაერთიანებას ისახავდა მიზნად, ხოლო საგარეო პოლიტიკაში მას სურდა შეექმნა პირობები ოსმალთა და ირანელი დამპყრობლების წინააღმდეგ წარმატებით ბრძოლისათვის. ამ მიზნით მან კავშირი დაამყარა რუსეთის მეფე ივანე მეოთხესთან (1564 წ.), რომელიც მფარველობას შეჰპირდა მას. (2, გვ. 284 — 285).

1555 წელს ლევანმა გაილაშქრა შაჰის მმართველ ჰასან ბეგის წინააღმდეგ. ამ ბრძოლაში შაჰის ჯარმა სასტიკი დამარცხება განიცადა, ხოლო ჰასან ბეგი მოკლულ იქნა. ქალაქი შაჰი კახეთის მეფემ აიღო (11, გვ. 82). 1560 წელს სეფიანთა შაჰის წინააღმდეგ ბრძოლის მიზნით, მან ახალი ურთიერთობა დაამყარა ქართლის მეფე სიმონთან, მასთან თავისი შვილი გიორგი გაგზავნა. მაგრამ გიორგი ყიზილბაშებთან ბრძოლაში დაიღუპა. ლევანი ტახტზე მისმა შვილმა ალექსანდრემ შეცვალა.

ალექსანდრე ლევანის ძე (1574 — 1605 წწ.) რამდენიმე სეფიანთა შაჰის (შაჰ თამაზ I-ის, ისმაილ II-ის, მოჰამად ხოდაბანდეს და აბას I-ის) თანამედროვე იყო.

ცენტრალური ხელისუფლების განსამტკიცებლად ალექსანდრემ მრავალი ადმინისტრაციული და სამხედრო რეფორმა (სახელმწიფო აპარატისა და ჯარის გარდაქმნა) გაატარა. ცდობდა აგრეთვე აემულეზბინა ქვეყნის ეკონომიკური პოტენციალი და ჩაეტარებინა აღდგენითი სამუშაოები. მან რუსეთიდან მოიწვია სპეციალისტები სამშენებლო სამუშაოების ჩასა-

ტარებლად (2, გვ. 279). თავისი გამგებლობის პირველ წლებში მან თურქეთთან კარგი ურთიერთობაც შეინარჩუნა. 1597 წელს ალექსანდრემ მხარი დაუჭირა თურქეთის ჯარს ყიზილბაშების წინააღმდეგ ომში, რომელსაც ლალა ფაშა მეთაურობდა. ამის გამო მას უთანხმოება მოუვიდა ქართლის მეფე სიმონთან, რომელიც სეფიანთა შაჰებთან იყო დაკავშირებული (11, გვ. 234).

1599 წელს, შაჰ აბას I-ის საქართველოში შემოჭრის შემდეგ, ალექსანდრე იძულებული გახდა შეეცვალა თავისი პოზიცია და სეფიანთა შაჰებთან დაემყარებინა კავშირი. ამას გარდა, მას უნდა შეესრულებინა შაჰის წარმომადგენელ მირზა სულეიმანის მიერ წამოყენებული მძიმე პირობები — თავისი ქალიშვილი მიეთხოვებინა სეფიანთა უფლისწულისათვის, შაჰის კარზე გაეგზავნა თავისი ვაჟიშვილი კონსტანტინე, გადაეხადა ხარაჯა (გადასახადები) და მიერთმია საჩუქრები. ალექსანდრე იძულებული გახდა ამ მოთხოვნათა შესრულებას შესდგომოდა. მან შაჰის კარზე გაგზავნა თავისი შვილები და პირობა დადო, რომ გადასახადებსაც გადაიხდიდა. ამას გარდა იგი დათანხმდა, რომ მირზა სულეიმანისათვის 5 ათასი თუმანი გადაეცა. აქედან სამი ათასი შაჰისათვის უნდა მიერთმიათ, ათასი შაჰის მემკვიდრისათვის, ათასი კი თვითონ მირზა სულეიმანისათვის იყო განკუთვნილი. ფულის საშოვნელად ალექსანდრემ თავისი ვეზირი იაკობი ქალაქ განჯაში გაგზავნა (11, გვ. 278).

სამშობლოს ინტერესების დაცვის მიზნით ალექსანდრე ორმხრივ პოლიტიკას ატარებდა. იგი ინარჩუნებდა კავშირს სეფიანთა შაჰებთან და ამავე დროს არც ოსმალეთის იმპერიასთან წყვეტდა ურთიერთობას. 1587 წელს აბას I-ის შაჰად დასმის დროს მან ირანის შაჰის კარზე თავისი წარმომადგენელი გაგზავნა, რათა მომხდარი ამბების საქმის კურსში ყოფილი-

ყო. 1589 წელს ის დაუკავშირდა ოსმალეთის არმიას და გადასცა ტყვედ ჩავარდნილი ყარადაღის მმართველი მოჰამედ ხან შიად ოღლი ყაჯარი, რომელიც სტამბოლის ციხეში დააწყვედიეს.

ალექსანდრე პერიოდულად (საჭიროების მიხედვით) ინარჩუნებდა შაჰ აბასთან ურთიერთობას, აგზავნიდა მასთან ელჩებს. შაჰის კარზე გაგზავნა მან თავისი შვილი იასეც.

1602 წელს შაჰ აბასმა გადაწყვიტა ალექსანდრე თავისთან მიეწვია და ამ მიზნით მისი შვილი კონსტანტინე გაგზავნა საქართველოში. შაჰმა იგი დიდი პატივისცემით და მეგობრულად მიიღო. ერევნის მახლობლად მდებარე სამხედრო ბანაკში, სადაც ყიზილბაშების არმია ქალაქზე დასაცემად ემზადებოდა, ალექსანდრეს შესახვედრად გამოვიდნენ მხედართმთავრები და ყიზილბაშთა დიდკაცობა. შაჰი მას გადაეხვია და მიუჩინა ყველაზე მეტად საპატიო ადგილი თავის დაახლოებულ პირთა შორის. ამასთან, მას სპასალარისა და ხანის უმაღლესი ტიტულები უბოძა (11, გვ. 670). ერთი წლის შემდეგ (1603 წ.) ალექსანდრე კახეთში დაბრუნდა. შაჰის ბრძანებით იგი გამმოაცილა სახელმიფო მოხელეებისა და მხედართმთავრების ჯგუფმა, მათ შორის მისმა შვილმა კონსტანტინემ, რომელიც შაჰმა შირვანის მმართველად და ჯარების უფროსად დანიშნა. ირანიდან დაბრუნების შემდეგ ალექსანდრე დიდხანს აღარ დარჩენილა ხელისუფლების სათავეში.

შაჰის კარზე ხანგრძლივი ყოფნა და იქ აღზრდა, და მაჰმადიანური რწმენის მიღება გახდა შაჰის პოლიტიკისადმი კონსტანტინეს მორჩილების მიზეზი. იგი აპირებდა შაჰის მითითების შესრულებას შირვანის დაპყრობის შესახებ, სადაც ის თან წყვეტდა ურთიერთობას. 1587 წელს აბას I-ის შაჰად დასჭირა შვილის მოსაზრებას და უარი განაცხადა შირვანში წასვლაზე. ამან მისცა საბაბი კონსტანტინეს ხელში ჩაეგდო კა-

ხეთის სამეფო. ყიზილბაში და თურქმენი რაზმების თანხლებით კონსტანტინე კახეთში გაემართა და 1605 წელს მან მოკლა თავისი მამა და ძმა გიორგი, რომელიც მამის ხანსავე და (11, გვ. 679), ამით მან ხელში ჩაიგდო ძალაუფლება კახეთში.

კონსტანტინე ალექსანდრეს ძე (1605 — 1606 წწ.) შაჰის კარზე 12 წლის ვაგზავნა მამამისმა. იგი ითვლებოდა უფლისწულ ჰამზა მირზას ყველაზე უახლოეს პირად, მონაწილეობდა შაჰ აბასის ხელდასხმაში (11, გვ. 689). მამის და ძმის მოკვლის შემდეგ — 1605 წელს კონსტანტინე შეუდგა ქვეყნის (კახეთის) დამოუკიდებლად მართვას. მალე იგი გაემგზავრა შირვანისაკენ, რომელიც თურქეთის ჯარებს დაეპყრო. ყიზილბაშ-ქართველთა ათიათასიანმა ლაშქარმა, რომელსაც კონსტანტინე ედგა სათავეში, გაანადგურა თურქთა ჯარი, „ხელთ იგდო შემახიის რაიონები და იქ თავისი ხელქვეითები დანიშნა. შაჰ აბასმა უხვად დაასაჩუქრა კონსტანტინე, გვირგვინი, იარაღი და ძვირფასი ქვის სამკაულები გაუგზავნა“ (11, გვ. 681).

ყიზილბაშურ-მუსლიმანური ცხოვრების წესის შეთვისებამ უარყოფითად იმოქმედა კონსტანტინეზე. მან კახეთში თავისი რეზიდენცია სეფიანებისა და ყიზილბაში დიდკაცების წესზე მოაწყო, დაყინებით ცდილობდა ქვეყანაში დესპოტური რეჟიმი დაემყარებინა, ანგარიშს არ უწევდა ქართველი დიდკაცობის აზრს, ყურადღებას არ აქცევდა ქართველი ხალხის ადამ-წესებსა და ტრადიციებს.

კონსტანტინეს რეაქციულმა ღონისძიებებმა დიდი უკმაყოფილება გამოიწვია ქართველ მოსახლეობაში, რომელიც მალე გაერთიანდა მის წინააღმდეგ. კონსტანტინემ, რომელიც თავისი ხალხის უკმაყოფილებას არავითარ ყურადღებას არ აქცევდა, გადაწყვიტა ძალით გასწორებოდა თავის მოწინააღმდეგეებს და ერთიანი ძალაუფლება აღედგინა ქვეყანაში. მაგ-



რამ, კონსტანტინეს წინააღმდეგ აღსდგა ქართველი თავადაზ-
 ნაურობაც, რომელსაც მოსახლეობა უჭერდა მხარს. აჯანყე-
 ბულებმა ღამით ალყა შემოარტყეს ქალაქ შემახიის მახლობ-
 ლად სამხედრო ბანაკში მდებარე მის რეზიდენციას. კონსტან-
 ტინემ გაჭირვებით მოახერხა მიმალვა და ბანაკიდან გაიქცა.
 მალე აჯანყებულებმა მას გზა გადაუჭრეს. განუცხადეს, რომ
 საქართველოში არ შეუშვებდნენ. გაქცეულ კონსტანტინეს
 გზაში ოსმალთა ლაშქარი დაესხა თავს და იარაღისა და სურ-
 სათის მთელი მარაგი წაართვა. სრული განადგურების შემდეგ
 კონსტანტინე ბრძოლას გაეცალა. შაჰ აბასმა, რომელიც გორ-
 განის მახლობლად სამხედრო ბანაკში იმყოფებოდა, შეიტყო
 მისი დამარცხების ამბავი და იგი თავისთან მიიწვია, მაგრამ
 კონსტანტინემ, რომელიც კვლავ აპირებდა საქართველოზე
 დაცემას: „შაჰის მოთხოვნის შესრულებაზე“ უარი თქვა. მან
 შეკრიბა ახალი რაზმები, დაბრუნდა საქართველოში და შაჰის
 ლაშქარის დახმარებით თავის თანამემამულეთა წინააღმდეგ
 დაიწყო ბრძოლა. მაგრამ მალე ამ ბრძოლაში დაიღუპა (11,
 გვ. 709 და 2, გვ. 296). კონსტანტინე მისმა ძმისწულმა თეიმურაზ
 I-მა შეცვალა.

თეიმურაზ პირველს (ირანული წყაროების მიხედვით თაჰ-
 მურას ალექსანდრეს ძე დაუდ-ხანის შვილი) მრავალი წლის
 მანძილზე (1606—1663 წწ.) ურთიერთობა ჰქონდა რამდენი-
 მე სეფიან შაჰთან (აბას I, შაჰ სეფი, აბას II), არაერთხელ
 უბრძოლია ოსმალებისა და ყიზილბაშთა ლაშქრის წინააღ-
 მდეგ. ამასთან ერთად, მას ნათესაური კავშირი ჰქონდა შაჰ
 აბას I-თან (ის იყო შაჰის ცოლის ძმა), დიდი თანამდებობები
 ეკავა საქართველოსა და ირანში. თეიმურაზი შაჰ აბასმა კონ-
 სტანტინეს სიკვდილის შემდეგ დანიშნა კახეთის მეფედ. იგი
 1606 წელს წამოვიდა საქართველოში.

ჯერ კიდევ კახეთში ხელისუფლების სათავეში მოსვლამ-

დე, თავისი ბაბუის — ალექსანდრეს გადაწყვეტილებით თეიმურაზი მამამისმა დაუღხანმა (დავითი) შაჰის კარზე გამგზავნა. თავის ბაბუისა და ბიძასთან (კონსტანტინესთან) ერთად მან შაჰ აბას I გააცილა თავრიზში ოსმალთა ჯარის წინააღმდეგ საბრძოლველად (1603 წელს). ირანელი ავტორები იხსენიებენ მის პირველ ჩასვლას ირანში, თავისი დის მართას შაჰ აბასთან შეუღლებასთან დაკავშირებით. მაგალითად „აბასის“ ისტორიაში, რომელიც ჭემალ მუნაჯემს ეკუთვნის, აღნიშნულია: „24 რაბი ოლ-ავვალს (მთვარის წლის მესამე თვე, — მ. ფ.), თეიმურაზ ხანი, დაუდის ძე, რომელიც დავა მირზას ლაყაბით (ფსევდონიმით) არის ცნობილი, ირანში მოვიდა თავის ძმა პატრიარქ პრუასთან (სტილი დაცულია — მ. ფ.), დედასთან და დასთან ერთად, მეორე დღეს ქორწინება მოხდა“ (12, გვ. 14). მისი ბაბუის საქართველოში, ხოლო ბიძის შირვანში გამგზავრების შემდეგ ის ირანში იმყოფებოდა 1606 წლამდე.

იმ დროს კონსტანტინეს წინააღმდეგ აღმოსავლეთ საქართველოში დაწყებულმა აჯანყებამ და კახეთის სამეფოსა და რუსეთს შორის ახალი კავშირის დამყარებამ აიძულა შაჰი დროებით დათმობაზე წასულიყო და 1606 წელს აღმოსავლეთ საქართველოში დაენიშნა ქრისტიანი მეფეები: თეიმურაზ პირველი კახეთში, ხოლო ლუარსაბ მეორე ქართლში (2, გვ. 296).

შაჰ აბასის მითითებით კახეთში თეიმურაზის მეფეთ კურთხევა მოხდა ქრისტიანული წესით, რომელსაც თვითონ შაჰი ესწრებოდა. „შაჰ აბას ქაბირის“ („შაჰ აბას დიდი“) ისტორიაში ეს ამბავი შემდეგი სიტყვებით არის მოხსენებული: „აბასაბადიდან მოსვლის შემდეგ შაჰ აბასი პირდაპირ წავიდა საქართველოში, სადაც თეიმურაზ ხანი მეფედ დანიშნა, შაჰი დათანხმდა, რომ მეფედ კურთხევის ცერემონია ქრისტიანული წესით ჩატარებულიყო და იგი თვითონ დაესწრო მას. თეიმურაზ ხანი, — განაგრძობს ავტორი, — იყო პირველი კაცი,

რომელმაც შაჰისაგან მიიღო დიდძალი საჩუქრები, რასაც სა-
ქართველოსათვის დიდი მნიშვნელობა ჰქონდა“ (15, გვ. 235)

ამავე დროს შაჰ აბასი (1606 წ.) იბრძოდა შემახიის გამ-
გებლის წინააღმდეგ, რომელშიც თეიმურაზსაც უნდა მიეღო
მონაწილეობა. მაგრამ, რადგანაც თეიმურაზს არ სურდა შემა-
ხიაში თავისი ჯარის შეყვანა, მან თავისი დედა გაგზავნა რამ-
დენიმე სამხედრო რაზმის (სულ ათასი კაცი) თანხლებით,
შემდეგში კი დროდადრო ამყარებდა კავშირს შაჰ აბასთან.
1610 წელს იგი ქართლის მეფე ლუარსაბ მეორესთან ერთად
შაჰს ახლდა ოსმალეთის იმპერიის წინააღმდეგ ომში ქალაქ
თავრიზში. მაგრამ შაჰ აბასის „მეგობრული“ განწყობილება
თეიმურაზისადმი დიდხანს არ გაგრძელებულა. მალე შაჰ აბას-
მა თეიმურაზს მოსთხოვა (პარემში) ქართველი ქალიშვილე-
ბი და საკუთარი ცოლიც გაეგზავნა. თეიმურაზმა უარი განა-
ცხადა შეესრულებინა ეს მოთხოვნები. შაჰ აბასმა ეს საბაზად
გამოიყენა საქართველოზე ახალი ლაშქრობის მოწყობისათვის.
იტალიელი მოგზაური პიეტრო დელლა ვალე, რომელიც ამ ამ-
ბის შემდეგ ირანში იმყოფებოდა, ამის თაობაზე წერდა: „შაჰ
აბასმა ომი დაიწყო თეიმურაზის წინააღმდეგ და გააძევა იგი
თავისი სამშობლოდან მეორე მეუღლის გამო. თეიმურაზის
პირველი ცოლი იყო ქართველი თავადის ლუარსაბ ხანის (იგუ-
ლისხმება ლუარსაბ II — მ. ფ.) და. ამ თავადის მეორე და ამას
წინათ დაქორწინდა შაჰთან. ახლა იგი მისი საყვარელი ცოლე-
ბის რიცხვში შედის.“

თეიმურაზ ხანმა გამბედაობა გამოიჩინა, — განაგრძობს ავ-
ტორი, — შედეგად სამშობლო დაჰკარგა... შაჰ აბასმა საქარ-
თველო ნანგრევებად აქცია... ყველაფერი ეს საქართველოს
დაპყრობის საბაზად იქნა გამოყენებული“. (პიეტრო დელლა
ვალეს საგზაო შენიშვნები, ტ. III, გვ. 353—356) (12, გვ. 221).

ზოგიერთი ირანელი ავტორი აღნიშნავს, რომ თავდაპირ-

ველად თეიმურაზი დათანხმდა შეესრულებინა შაჰ-აბასის მო-
თხოვნები, მაგრამ შემდეგში მას უარი უთქვამს, ვინაიდან ამ
მოთხოვნებმა ქართველი ხალხის აჯანყება გამოიწვია. „თარი-
ხე აბასის“ („აბასის ისტორია“) ხელნაწერ ეგზემპლარში ვკი-
თხულობთ: „შაჰმა შეიტყო იმის შესახებ, რომ მესხი მოურა-
ვეები კახელი ნავარების ჯგუფებთან ერთად გაეშორნენ, რათა
თეიმურაზ ხანი მოეკლათ. ამ დროს თეიმურაზის დედა ქეთე-
ვანმა გზა გადაუღობა მათ და ჰკითხა: „რაში ედება ბრალი ჩემს
შვილის?“ ხალხმა უპასუხა: „როდემდე უნდა გვართმევდეს იგი
ჩვენ გოგო-ბიჭებს! ახლა მან მიიღო შაჰის ახალი ბრძანება
ჩვენი მოსპობის შესახებ. ჩვენ მას მოგვკლავთ: რაც მოგვივა,
დაე, მოგვივიდეს!“ როცა ეს გაიგო, — განაგრძობს ავტორი, —
თეიმურაზ ხანი გაიქცა... შემდეგ ხალხს კაცი გაუგზავნა და
შეევედრა: „გეფიცებით, რომ ამის შემდეგ თქვენი თანხმობის
გარეშე არავის არ გაუგზავნით გოგო-ბიჭებს. მე თქვენი მე-
გობარი დავრჩები“ („თარიხე აბასის“ ხელნაწერი), (12,
გვ. 215 — 216).

ირანულ წყაროებში შაჰ აბასის საქართველოზე თავდასხმა
სხვადასხვა მიზეზით არის ახსნილი. მაგალითად „ალამ არაიე
აბასის“ ისტორიაში ამის თაობაზე წერია: „1613 წელს შაჰ-
აბასის, მანანდარანში სანადიროდ წასვლის დროს, მან ქარ-
თველ მეფეებს თეიმურაზსა და ლუარსაბს სთხოვა თან ხლე-
ბოდნენ მას ნადირობაზე. მაგრამ მათ არ შეასრულეს ეს თხოვ-
ნა. შაჰ აბასი გაბრაზდა და თავრიზის მმართველ ფირ ბუდალ
ხანს, ყარაბაღის ამირ დელუ მუჰამედ შამს-ედ-დინს და შირ-
ვანის ბეგლარბეგ იუსუფ ხანს უბრძანა გარს შემორტყმოდ-
ნენ და დაეპყროთ კახეთი. თეიმურაზმა შაჰის სასახლეში გა-
გზავნა თავისი დედა და ორი შვილი აზნურებისა და პატრიარ-
ქების თანხლებით. მაგრამ მალე ბაგრატ მირზას (ქართლის გამ-
გებელ ლუარსაბის ბიძაშვილი) მისამართით გაგზავნილ წე-

რილში მან (თეიმურაზმა) შაჰის წინააღმდეგ გამოსვლა სთხოვა. წერილი ბაგრატმა აბასს გაუგზავნა. განრისხებულმა შაჰმა გადაწყვიტა საქართველოს დალაშქვრა. (II, გვ. 868—870).

თანამედროვე ირანელი ისტორიკოსი აბას ეყბაღი ვარაუდობს, რომ თავიდან შაჰ აბასი ცდილობდა გაეტეხა თეიმურაზი, მიეღო მისი თანხმობა, მაგრამ, ვინაიდან შედეგს ვერ მიაღწია, ის თავდასხმისათვის მოემზადა. „1021 წელს ჰიჯრით, — წერს ა. ეყბაღი, — შაჰ აბასს აცნობს, რომ თეიმურაზ ხანმა თავის ხელქვეითებთან ერთად საქართველოდან ყარაბაღის მმართველზე გაილაშქრა. შაჰი გავიდა ისფაჰანიდან წლის ბოლოს და საქართველოში მივიდა. თავდაპირველად იგი თეიმურაზის თავის მხარეზე გადაბირებას ცდილობდა და ამ მიზნით მას თავაზიანად მოეკიდა, მაგრამ შაჰის მცდელობას შედეგი არ მოჰყვა. თეიმურაზი თურქეთის სულთანს ეახლა (14, გვ. 271).

ირანელი და აგრეთვე ზოგიერთი დასავლეთ-ევროპელი ავტორების აზრის საწინააღმდეგოდ, შაჰ აბასის საქართველოზე გალაშქრების მთავარი მოტივი სუბიექტურ მიზეზებში არ უნდა ვეძებოთ. შაჰ აბასის მტრულ დამოკიდებულებას საქართველოსთან საფუძვლად ედო უპირველეს ყოვლისა, ირანის სამხედრო-პოლიტიკური გეგმები, რომლებიც მიმართული იყო მის მფლობელობაში არსებული მიწების გაფართოებისა და ახალი მხარეების დაპყრობისაკენ. ეს, პირველ რიგში, ეხებოდა ეკონომიკურად და გეოგრაფიულად მნიშვნელოვან კავკასიის ქვეყნებს. სწორედ ამიტომ შაჰ აბასი მუდამ ცდილობდა დაესწრო თავისი მეტოქეებისათვის — ოსმალეთის სულთნებისა და აგრეთვე რუსეთის მეფისათვის, რომელმაც ამ დროს განიმტკიცა „თავისი შინაპოლიტიკური მდგომარეობა“ (2, გვ. 296) და კავკასიაში თავისი გავლენის სფეროების გაფართოებას შეუდგა.

თეიმურაზის აღმოსავლეთ საქართველოდან წასვლის შემ-

დღე, შაჰ აბასმა კახეთის მეფედ აკურთხა მისი ბიძაშვილი (გიორგის ძე, ალექსანდრეს შვილიშვილი) ისა ხანი ^{არმაზი} მასწავლებელში რწმუნებული (ვექილი) დაუდ ბეგი ახლდა. ისა ხანი დიდხანს ცხოვრობდა შაჰის კარზე და მიღებული ჰქონდა მუსლიმანური სარწმუნოება. იგი არ იცავდა ქართულ ტრადიციებს ქვეყნის მართვა-გამგეობის საქმეში, რამაც მოსახლეობის ძლიერი უკმაყოფილება გამოიწვია და მალე მის წინააღმდეგ სახალხო აჯანყება მოხდა.

1615 წელს კახეთში დაბრუნებული თეიმურაზი სათავეში ჩაუდგა აჯანყებას. მას შეუერთდნენ მისი თანამოაზრენი ქართლიდან და შირვანიდან, აგრეთვე ისა ხანის თანაშემწე, რწმუნებული დაუდ ბეგი.

აჯანყებულებმა თეიმურაზის მეთაურობით გაანადგურეს ყიზილბაშების 15 ათასიანი ლაშქარი, რომელსაც ალი ყული ხანი მეთაურობდა. შაჰის ჯარი იძულებული იყო საქართველო დაეტოვებინა და განჯაში გაქცეულიყო. აჯანყებამ საქართველოს მთელი აღმოსავლეთი რაიონები მოიცვა და დიდი საშიშროება შეუქმნა ამიერკავკასიაში ყიზილბაშურ ხელისუფლებას (11, გვ. 888).

იმისათვის, რათა საერთო წარმოდგენა შეგვექმნას აჯანყების მსვლელობაზე მოგვაქვს ნაწყვეტი „ალამ არაიე აბასის“ ისტორიიდან: „როცა ქვეყანაში გავრცელდა ცნობა რუმის (ოსმალეთის) ჯარის შემოტევის შესახებ, აჯანყდა ურჩი ხალხი ყველა მხარისა და გვარის. საქართველოში აჯანყდა დაუდ ბეგი, რომელიც ისა-ხანის ვექილის თანამდებობას ასრულებდა. იყო ქრისტიანული დღესასწაულის დღე, ქართველები ალავერდის ეკლესიაში შეკრებილიყვნენ, რათა თავისი ტრადიციის თანახმად ლოცვა შეესრულებინათ.

ციხის მცველებმა უყურადღებობა გამოიჩინეს და ეკლესიაში მრავალი ქართველი შეუშვეს.

სადღესასწაულო წეს-ჩვეულებათა აღსრულების შემდეგ ქართველები აჯანყდნენ. აჯანყება თეიმურაზის, დაუდ ბეგისა და თამაზ ბეგის მომხრე მცხეთელი აზნაურების წაქეზებით დაიწყო. ქართველებმა მრავალი ყიზილბაში გაწყვიტეს. დაუდ ბეგმა მაცნე გაუგზავნა თეიმურაზს და სთხოვა მას კახეთში მოსულიყო...

უწესრიგობა შირვანის მხარესაც მოედო, — განაგრძობს ავტორი, — იქაც ამბოხება დაიწყო. დალუ მალექმა კაცი თეიმურაზთან გაგზავნა და თავისი ერთგულება გამოუცხადა“ (11, გვ. 888).

როცა ყიზილბაშთა ლაშქრის დამარცხების ამბავი შეიტყო, შაჰ აბასმა სასწრაფოდ გაგზავნა საქართველოში დიდი მამულელი ჯარი. თეიმურაზი იძულებული იყო კახეთი დაეტოვებინა და დასავლეთ საქართველოში წასულიყო. მას არაერთხელ გადაუღობეს გზა ყიზილბაშებმა, მგრამ თეიმურაზმა დაამარცხა მათი რაზმები (11, გვ. 891 და 899). ამასთან ერთად, (1615 წელი) თეიმურაზმა იმერეთის მეფე გიორგისთან, აგრეთვე დასავლეთ საქართველოს თავადებთან ერთად შეძლო გაეგზავნა რუსეთში ელჩი და დახმარება ეთხოვა რუსეთის მეფისათვის (2, გვ. 299).

განრისხებული შაჰ აბასი სასტიკად გაუსწორდა აჯანყებულებს, ოცი დღის განმავლობაში მან გაანადგურა 70 ათასი, და დაატყვევა 130 ათასი კაცი, დაიპყრო მთელი კახეთი და ქართლი. 1616 წლის შუა ხანებში იგი თბილსში შევიდა. ყიზილბაშთა ლაშქარი უმოწყალოდ ძარცვავდა დაპყრობილ ადგილებს. ამის შემდეგ შაჰი გაემართა გოგჩის მხარეს, საიდანაც უტევდა ოსმალეთის ლაშქარი მთავარ ვეზირ სულთან აჰმედ ხან მოჰამედ ფაშას მეთაურობით (14, გვ. 271). შაჰს მიეჩქარებოდა აგრეთვე განჯაში, სადაც მოსახლეობა აჯანყდა

ყიზილბაში მმართველის მოჰამედ ხან ზიად ოღლის მეთაურობით (11, გვ. 912).

1617 წელს შაჰი შეუდგა ქართველი მოსახლეობის მასობრივ გადასახლებას მაზანდარანში (ფარაპ აბადი). ამ პერიოდში კახეთის მმართველად შაჰმა დანიშნა ყაჯართა ტომის წარმომადგენელი, ყიზილბაში ფეიქარ ხან იგიორმი დორთი, ხოლო 1619 წელს იგი შეცვალა ქართლის ყოფილი მეფის ლუარსაბის მცირეწლოვანმა შვილიშვილმა ბაგრატმა.

შაჰ აბასის მიერ გატარებულმა მკაცრმა რეპრესიულმა ზომებმა, ხოცვა-ჟლეტამ და გადასახლებებმა ვერ შეძლო გაეტეხა ქართველი ხალხის წინააღმდეგობა. 1625 წელს თეიმურაზი გიორგი სააკაძესთან და სამცხის ათაბაგთან (მანუჩარის შვილთან) ერთად სათავეში ჩაუდგა 20 ათასიან ლაშქარს და მოაწყო საერთო ფრონტი შაჰ აბასის წინააღმდეგ. აჯანყებულებმა გატეხეს ერაყიდან, აზერბაიჯანიდან და შირვანიდან მოსული ყიზილბაშთა ჯარების წინააღმდეგობა, უკუაქციეს ისინი, მაგრამ ყიზილბაშთა რაზმები, რომლებსაც ახალი მაშველი ჯარები შეუერთდნენ, შეტევაზე გადავიდნენ. აჯანყებულებმა უკან დაიხიეს, რადგან მიხვდნენ, რომ წინააღმდეგობას ვერ გაუწევდნენ შაჰის მრავალრიცხოვან ჯარს (II, გვ. 1028).

ასეთმა ვითარებამ აიძულა თეიმურაზი ქვეყნის სხვადასხვა კუთხეები შემოეკლო, ლაშქარი შეეკრიბა და ახალი აჯანყებისათვის მომზადებულიყო, მაგრამ 1626 წელს, გიორგი სააკაძესთან უთანხმოების შემდეგ (გიორგი სააკაძე თურქეთში წავიდა), იგი დაუკავშირდა ამ დროს თბილისში მცხოვრებ ცნობილ ირანელ სეფაჰსალარ ალაჰვერდი ხანის (წარმოშობით ქართველის) შვილს დაუდ ხანს, და მისი დახმარებით ურთიერთობა დაამყარა შაჰ აბასთან (II, გვ. 1062). შაჰ აბასმა, რომელიც ოსმალეთის წინააღმდეგ ახალი ომისათვის ემზადებოდა და საქართველოში აჯანყების გაფართოების ეშინოდა,

გულთბილად მიიღო თეიმურაზი და კვლავ დანიშნა იგი საქართველოს მმართველად. თეიმურაზთან დაზავებამ შესაძლებლობა მისცა შაჰს მთელი თავისი ძალები ოსმალეთის წინააღმდეგ საბრძოლველად წარემართა. ამასთან ერთად, იქმნებოდა ახალი შესაძლებლობა წაეჩხუბებინა მეფე გიორგი სააკაძესთან. 1626 წელს შაჰ აბასმა თეიმურაზ I ცნო ქართლის მეფედ (2, გვ. 304).

თეიმურაზი მაინც განაგრძობდა ბრძოლას სეფიანთა შაჰების — შაჰ აბასის მემკვიდრეების — შვილიშვილის შაჰ სეფის (1629—1642 წწ.) და მისი შვილის აბას II-ის წინააღმდეგ. შაჰ სეფის გამგებლობის დასაწყისში მან იმერეთის ლაშქრით განჯას შეუტია. ამავე დროს კვლავ დაამყარა დიპლომატიური ურთიერთობა რუსეთთან და დახმარება სთხოვა რუსეთის მეფეს (2, გვ. 304).

1632 წელს შაჰ სეფიმ შეიტყო, რომ თეიმურაზი კვლავ აჯანყდა ყარაბაღის მმართველ (1627 წლიდან) ალაჰვერდი ხანის შვილთან — დაუდ ხანთან ერთად. შაჰმა საქართველოში გაგზავნა ყიზილბაშთა ლაშქარი ქართველი უფლისწულის როსტომ დავითის ძის (ხოსროვ ხანი) მეთაურობით, თვითონ კი უკან გაჰყვა. ამ ბრძოლაში თეიმურაზი დამარცხდა. შაჰმა ყიზილბაში სელიმი კახეთის, როსტომი კი ქართლის მმართველად დანიშნა (1633 წ.).

სეფი მეტად მკაცრი და სისხლისმსმელი ადამიანი იყო. მცირედი ეჭვით ის კლავდა ღირსეულ სახელმწიფო მოღვაწეებს და თვით უახლოეს ნათესაებს. მისი ხელით იყო მოკლული ცნობილი მხედართმთავარი ალაჰვერდი ხანის შვილი იმამ ყული ხანი, რომელსაც ბრალად ედებოდა თავის ძმა—დაუდ ხანთან ერთად შეთქმულების მოწყობა და თეიმურაზისათვის დახმარების გაწევა სეფიანთა შაჰის წინააღმდეგ ბრძოლაში (16, შესავალი გვ. დ).

1636 წელს თეიმურაზი კვლავ გამეფდა. მისი საქმიანობა ძირითადად მიმართული იყო აღმოსავლეთ საქართველოს (ქართლ-კახეთის) გაერთიანებისაკენ. ამ მიზნით იგი ხანგრძლივად ებრძოდა ქართლში შაჰის ნაცვალს როსტომ ხანს. ამასთან ერთად, იგი კვლავ დაუკავშირდა რუსეთის მეფეს და დახმარება სთხოვა მას. მაგრამ 1639 წელს ირანმა და ოსმალეთმა ყასრე შირინის საზავო ხელშეკრულება დადო, რომლის საფუძველზე კვლავ აღადგინეს სტამბოლის 1612 წლის საზავო ხელშეკრულების პირობები საქართველოს ურთიერთშორის დანაწილების შესახებ, ყასრე-შირინის ხელშეკრულების თანახმად აღმოსავლეთ საქართველო ირანის მფლობელობაში შევიდა.

აბას II-მ (1642-1666 წწ.) თავისი მმართველობის დასაწყისში წერილი გაუგზავნა თეიმურაზს და მოსთხოვა მხარი დაეჭირა ქართლის მმართველ როსტომ ხანისათვის. თეიმურაზმა, რომელიც შაჰის მოთხოვნას არ ეთანხმებოდა, საიდუმლო კავშირი დაამყარა ქართველ თავადებთან — ზაალ და ნუგზარ ერისთავებთან, იოთამ ამილახვართან და სხვებთან, რათა განეგრძოთ ბრძოლა სეფიანთა შაჰის წინააღმდეგ. როცა ეს ამბავი შეიტყო, აბას II-მ საქართველოში გაგზავნა დიდი შენაერთები სხვადასხვა მხრიდან: აზერბაიჯანიდან, შირვანიდან, ყარაბაღიდან, ერევნიდან. შაჰის ჯარები კახეთში შევიდნენ, თეიმურაზი მტრის რიცხოვნობრივად ჭარბი ძალების წინაშე იძულებული გახდა უკუქცეულიყო (16, გვ. 43—45).

თეიმურაზის ბრძოლა შაჰის ნაცვალ როსტომ ხანის წინააღმდეგ მომდევნო წლებშიც გაგრძელდა. 1647 წელს მან აბას II-ის წინააღმდეგ განაახლა ომი, რომელშიც მისი შვილი დავითი მონაწილეობდა. ირანელი ისტორიკოსების მტკიცებით „დავითი გამოირჩეოდა თავისი გაბედულობით და სიმამაცით ის თეიმურაზისა და კახეთის მოსახლეობის მთავარ ბურჯს წარმოადგენდა“ (16, გვ. 95). მაგრამ თეიმურაზმა ამჯერადაც



მარცხი განიცადა — დავითი ბრძოლაში დაიღუპა, 1648 წელს როსტომ ხანი კახეთში შეიჭრა. თეიმურაზი შვილიშვილებთან ერთად იმერეთში გადავიდა თავის სიძესთან — იმერეთის მეფე ალექსანდრე III-თან.

მიუხედავად ყველა მცდელობისა, შაჰმა კახეთის დამორჩილება ვერ შეძლო. მის წინააღმდეგ აღსდგა საქართველოს სხვადასხვა კუთხის, მათ შორის არაგვის ხეობისა და ხევსურეთის მცხოვრებლები. აჯანყების ჩახშობის მიზნით, აბას II შეუდგა მკაცრი ზომების გატარებას — კახეთში ასახლებდა მომთაბარე თურქმენულ ტომებს, როსტომ ხანი დანიშნა კახეთის გამგებლად და სხვა. აბას II-ის ღონისძიებებმა დიდად აღაშფოთა მოსახლეობა, რომელიც კვლავ აჯანყდა მის წინააღმდეგ. ამასობაში თეიმურაზმა თავისი შვილიშვილი ერეკლე გაგზავნა რუსეთში და მალე თვითონაც იქ გაემგზავრა, მაგრამ მაშინდელი საგარეო პოლიტიკური ვითარების გამო, რუსეთმა ვერ შეძლო არსებითი დახმარება გაეწია თეიმურაზისათვის, მიუხედავად იმისა, ამ დროს ფართოვდებოდა ეკონომიკური ურთიერთობა ირანსა და რუსეთს შორის. „ასე მაგალითად, შემახიაში რუს ვაჭრებს ჰქონდათ „შემახიის“ ქარვასლა, სადაც ისინი მუდმივად ვაჭრობდნენ კალით, სპილენძით, ტყავით და სიასამურის ბეწვით“ (9, გვ. 186). რუსეთმა რამდენიმე სასაზღვრო ციხე ააშენა დაღესტანში. მაგრამ აბას II-ის მითითებით ციხეები დაანგრის დაღესტნის, დერბენდისა და სხვა მმართველებმა (16, გვ. 160).

ყიზილბაშთა ჯარის წინააღმდეგ იბრძოდა თეიმურაზის მეორე შვილიშვილიც, რომელიც ამ დროს იმერეთში ცხოვრობდა ალექსანდრეს მფარველობის ქვეშ. 1658 წელს იგი გმირულად დაიღუპა ყიზილბაშთა რაზმების მოულოდნელი თავდასხმის დროს (16, გვ. 246—249).

1660 წელს თეიმურაზი რუსეთიდან იმერეთში დაბრუნდა.

ამ დროს ქართლში შაჰის ნაცვალნი შაჰნავაზ ხანი (ვახტანგ V) იყო. მან შეცვალა 1658 წელს გარდაცვლილი როსტომ ხანი. შაჰნავაზმა თეიმურაზი ქართლში გაგზავნა და ამის შესახებ შაჰ აბას II-ს მოახსენა. აბასი გარეგნულადაც ცდილობდა თეიმურაზთან მეგობრული ურთიერთობა ჰქონოდა. მან იგი ისფაჰანში მიიწვია, 1662 წელს თეიმურაზი ქართველი თავადებისა და აზნაურების ჯგუფთან ერთად (რომელშიც გივი ამილახვარი და სხვები შედიოდნენ), შაჰის სასახლეში გაემგზავრა. შაჰმა თეიმურაზი და მისი თანმხლებნი საზეიმო ვითარებაში მიიღო. ჯერ კიდევ საზღვარზე გადასვლის დროს, შაჰის ბრძანებით მას შეხვდნენ ადგილობრივი მმართველები და ყიზილბაში დიდგვაროვანნი, დედაქალაქში შესვლისას კი მის შესახვედრად გამოვიდნენ სასახლის მაღალი თანამდებობის პირები და თვით მთავარი ვეზირი. მთელი გზა ქალაქის ჭიშკრიდან ისფაჰანში მისთვის განკუთვნილ რეზიდენციამდე ძვირფასი ხალიჩებით იყო მოფენილი. იმავე დღეს შაჰი პირადად ეწვია მას და შეხვედრისას მისდამი დიდი პატივისცემა გამოამჟღავნა (16, გვ. 302).

ისფაჰანში ყოფნის დროს თეიმურაზი შედიოდა შაჰ აბას II-ის ყველაზე საპატიო სტუმართა რიცხვში, ესწრებოდა სასახლის ნადიმებსა და მიღებებს, ახლდა შაჰს მოგზაურობებში, ნადირობაზე (16, გვ. 309). 1663 წელს იგი გარდაიცვალა ასთარაბადში შაჰის ამაღასთან ერთად მაზანდარანში სანადიროდ გამგზავრების დროს (16, გვ. 327).

ქართველი ისტორიკოსების აზრით, თეიმურაზი აბას II-მ ასთარაბადის ციხეში გამოამწყვდია და იგი იქ გარდაიცვალა (2, გვ. 310). ირანელი ავტორები კი ამ აზრს არ იზიარებენ. ფაქტების შესადაარებლად მოგვაქვს ორი მცირე ნაწყვეტი მოჰამედ თაჰერ ვაჰედ ყაზვინელის (1605 — 1698 წწ.) წიგნიდან „აბას ნამე“, რომელიც 1662-1663 წლების ამბებს განეკუთვნება.



ნება: „იმისათვის, რათა დრო მხიარულად გაეტარებინათ, შაჰ-მა უბრძანა დიდებულებს ქალაქ (ისფაჰანის) გარეთ გასულიყვნენ და კარვები მდინარე ზაიენდე რუდის ნაპირზე გაეშალათ, ის იქ წავიდა რჩეულ დიდებულებთან, ემირებთან, თეიმურაზ ხანთან, ამილახვართან და სხვა ქართველებთან ერთად... იქ უამრავი თასებით სვამდნენ ღვინოს. სალამომდე გაგრძელდა ნადირობა და თევზის ჭერა მწვანე სამოთხისებურ ადგილას“ (16, გვ. 309).

„მაზანდარანში გასამგზავრებლად შაჰის მომზადების დროს, ავადმყოფობის გამო, თეიმურაზს ცხენით წასვლა არ შეეძლო. შაჰმა ბრძანა, რომ იგი ტახტრევანზე დამჯდარიყო, ჯუზლუნის გზით გამგზავრებულიყო ასთარაბადში და იქ დალოდებოდა შაჰის მისვლას. მაგრამ მალე გარდაიცვალა...“ (16, გვ. 327).

ასე დაასრულა სიცოცხლე ერთ-ერთმა უდიდესმა ქართველმა სახელმწიფო მოღვაწემ, რომელმაც მთელი თავისი ცხოვრება მიუძღვნა თავისი ხალხის დამოუკიდებლობისათვის ბრძოლას. ირანელი ისტორიკოსების აღიარებით, ის „მედგარ წინააღმდეგობას უწევდა ძლევამოსილი შაჰების შემოსევებს, რამაც დიდი ზიანი მიაყენა მას... ის განაგრძობდა ქედმოუხრელ ბრძოლას სიცოცხლის დასასრულამდე. ყოველივე ამის შედეგად მან დატოვა თავისი სამშობლო, დაკარგა შვილი, ოჯახი და ახლობლები“ (16, გვ. 301). 74 წლის ასაკში, იგი უცხო ქვეყანაში გარდაიცვალა.

ისა ხან ლევანის ძე მამამისის კახეთში მეფობის დროს (შაჰ თამაზ I-ის საქართველოში შემოსევების ხანაში) ტყვედ წაიყვანეს ყიზილბაშმა მარბიელებმა. შაჰ თამაზ I-მა იგი ალამუთის ციხეში გამოამწყვდია (1576 წ.), მაგრამ მალე გამოუშვეს ციხიდან შაჰ თამაზ I-ის მემკვიდრის — ისმაილ II-ის (1576—1577 წწ.) დროს. ისა ხანი მონაწილეობდა შაჰის ხელ-

დასხმის ზეიმში, ესწრებოდა აგრეთვე სულთან მოჰამედ ხოდ-
ბანდეს (1578 — 1587 წწ.) ტახტზე ასვლის ცერემონიაშიც.
ხანი დაქორწინდა შაჰის ძმის, უფლისწულ საამ მირზას ქალი-
შვილზე. მალე შაჰმა იგი შაჰის მმართველად დანიშნა.

1579 წელს, ლალა ფაშას მეთაურობით ოსმალეთის ჯარე-
ბის ლაშქრობისას, მან შაჰი დატოვა და თავისი ძმის (კახეთის
მეფე ალექსანდრეს) თხოვნით წამოვიდა საქართველოში. 1580
წელს იგი კახეთში გარდაიცვალა (11, გვ. 271).

ისა ხან გიორგის ძე ჯერ კიდევ ბავშვობის დროს, მისმა
ბაბუამ ალექსანდრემ შაჰის კარზე გაგზავნა, სადაც 1614
წლამდე დაჰყო. მისი ბიძაშვილის — თეიმურაზის კახეთიდან
წასვლის შემდეგ შაჰ აბასმა იგი კახეთის მეფედ დასვა. ირანე-
ლი ისტორიკოსების მტკიცებით, მისი გამეფების ცერემონია
ქართული წეს-ჩვეულების შესაბამისად მოხდა. ყიზილბაშთა
ამირებმა მას ძვირფასი საჩუქრები მიართვეს. „თეიმურაზ ხა-
ნის დასავლეთ საქართველოში წასვლის შემდეგ, — აღნიშნავეს
ისქანდერ ბეგ მუნში, — მისი მამულები შაჰმა ისა ხან მირზას
(გიორგის ძეს) გადასცა“. იგი იყო ალექსანდრეს შვილიშვილი
და თეიმურაზ ხანის ბიძაშვილი. ბავშვობაში ისა ხანი შაჰთან
ცხოვრობდა და იზრდებოდა. აქვე გამუსლიმანდა. ისა ხანის
თანაშემწედ დანიშნა სახელგანთქმული ქართველი აზნაური
დაუდ ბეგი (ჯანდიერი — მ. ფ.).

ისა ხანი, — განაგრძობს ისქანდერ ბეგი, — ტახტზე იქნა
აყვანილი ქართული ტრადიციების შესაბამისად. შაჰმა იგი ძვირ-
ფასეულობით დასაჩუქრა, ხოლო ყიზილბაშთა ამირებმა ქარ-
თველებთან თანხმობის ნიშნად მას მოუტანეს წითელი და თეთ-
რი მონეტები, რომლებიც ოქროს და ვერცხლის სინებზე ელავა
(11, გვ. 873).

იმის გამო, რომ ისა ხანი ხანგრძლივად იმყოფებოდა ყი-
ზილბაშთა შორის და მიღებული ჰქონდა მუსლიმანური სარწ-



მუნობა, მან ვერ შეძლო საქართველოში ხელისუფლებების სტაბილურობის დარჩენილიყო. მან სცადა დაენერგა ყიზილბაშების წესები, უგულვებელყოფდა ქართულ წეს-ჩვეულებებს, დამამცირებლად ეკიდებოდა პატრიარქებს, პატივს არ სცემდა ჯვარს (11, გვ. 878). ყოველივე ეს იწვევდა მოსახლეობის ძლიერ უკმაყოფილებას, რაც მალე აჯანყებაში გადაიზარდა. მას ძალა არ შესწევდა ხალხის წინააღმდეგობისათვის გაეძლო და კახეთიდან არდებილში გაიქცა.

1616 წელს, საქართველოში გამოლაშქრებამდე. შაჰ აბასმა ისა ხანი დემავენდში დაასახლა, სადაც მან მრავალი წელი დაჰყო (11, გვ. 897).

ბ. ქართლის გამგებლები

ლუარსაბ I დავითის ძე (1530—1556 წწ.) ქართველ მეფეთაგან ერთი პირველთაგანი იყო, რომელმაც შაჰ თამაზ I-ის შემოსევა განიცადა და იძულებული გახდა ურთიერთობა დამყარებინა სეფიანთა სახელმწიფოსთან. საშინაო პოლიტიკის დარგში იგი განაგრძობდა მამის ხაზს, რაც ქვეყნის გაერთიანებისაკენ იყო მიმართული, ხოლო მისი საგარეო პოლიტიკა ემყარებოდა ბრძოლას ოსმალთა და ყიზილბაშთა დამპყრობლების წინააღმდეგ, თავისი ქვეყნის დამოუკიდებლობისა და თავისუფალი განვითარებისათვის.

ირანელი ავტორების მოწმობით, ლუარსაბი იმ ქართველ მეფეთა რიცხვს ეკუთვნოდა, რომლებიც სიმამაციითა და ვაჟკაცობით გამოირჩეოდნენ. მას ბევრი ღირსეული მომხრე ემსახურებოდა დამპყრობელთა წინააღმდეგ ბრძოლაში. იგი იყო მტკიცე, ქედუხრელი, არ ასრულებდა შაჰის ბრძანებას ხარაჯის (გადასახადების) და ხარკის გადახდის შესახებ. „მიუხედავად შაჰ თამაზის საქართველოზე მრავალგზის ლაშქრობისა, მან



ვერ შესძლო გაეტეხა ლუარსაბის წინააღმდეგობა და იგი“ (11 გვ. 88).

მიუხედავად იმისა, რომ ლუარსაბ I გააფრთხილებით იბრძოდა ყიზილბაშთა მხედრონის წინააღმდეგ, მან მაინც ვერ შეძლო ქართლის სახელმწიფოს დამოუკიდებლობის შენარჩუნება. შაჰ თამაზ I-ის საქართველოზე რამდენიმე ლაშქრობისას ბევრი მისი მომხრე მტერს შეაკვდა. ეს განსაკუთრებით გაძლიერდა ოსმალეთის ჯარების საქართველოზე პერიოდული შემოტევებისა და ყიზილბაშებთან მათი მეტოქეობის შედეგად. ყველაფერ ამას ხელს უწყობდა აგრეთვე ზოგიერთი ქართველი სახელმწიფო მოღვაწის სისუსტეც, მათ შორის, თბილისის მოურავის გულბათისა, რომელმაც თბილისი წინააღმდეგობის გაუწევლად ჩააბარა ყიზილბაშებს.

1555 წელს, ამასიის საზავო ხელშეკრულების პირობით, რაც სეფიანთა შაჰ თამაზ I-სა და ოსმალეთის სულთან სულეიმანს შორის დაიდო, აღმოსავლეთი საქართველო (მესხეთი, ქართლი და კახეთი) სეფიანთა სამფლობელოებში იქნა შეყვანილი. ლუარსაბი, რომელიც საქართველოს დაყოფის შესახებ ხელშეკრულებას არ დაემორჩილა, ბრძოლას განაგრძობდა ყიზილბაშთა ურდოების წინააღმდეგ. შაჰ თამაზმა ახალი ლაშქარი შემოუსია ქართლის მაშინდელ სატახტო ქალაქ გორს და უამრავი ხალხი გაუღიბა. ქართლის ქალაქებიდან და სოფლებიდან 30 ათასზე მეტი კაცი წაიყვანეს ტყვედ, დიდგვაროვანთა გოგო-ბიჭები შაჰის სასახლეში გაგზავნეს.

საქართველოზე ყიზილბაშთა ურდოების გამანადგურებელმა ლაშქრობებმა ქართლის მოსახლეობა დამპყრობელთა წინააღმდეგ ააჯანყა. აჯანყებულები ლუარსაბ I-ის მეთაურობით ყიზილბაშების მიერ დაკავებულ რაიონებში შევიდნენ (1556 წ.). ლუარსაბის წინააღმდეგ შაჰმა გაგზავნა ყიზილბაშთა ახალი რაზმები ყარაბაღის მმართველის შაჰვერდის მეთაურობით, რომელიც ყაჯართა ტომს ეკუთვნოდა. იგი ცოტა ხნით ადრე სე-



ფიანთა შაჰმა სასაზღვრო რაიონის დამცველი რაზმის მეთაურად დანიშნა. მაგრამ შაჰვერდი დამარცხდა, ბრძოლის შედეგად მრავალი მოკლული და დაჭრილი ყიზილბაში დატოვა და გაიქცა. მამაცმა ქართველმა მეომრებმა, რომლებიც ყიზილბაშებს გამოედევნენ, დიდი ზიანი მიაყენეს მათ (11, გვ. 84—88).

მიუხედავად ლუარსაბის თავდადებული ბრძოლისა, მას არ მოუხერხდა საბოლოოდ გაეთავისუფლებინა სამშობლო, ივი-მოულოდნელად დაიღუპა ყიზილბაშებთან ბრძოლის დროს 1556 წელს (ლუარსაბის ცხენმა წაიბოროძიკა, მეფეს რამდენიმე ყიზილბაში მიესია და მოკლა). ლუარსაბ I ტახტზე მისმა შვილმა სიმონმა შესცვალა.

სიმონ I (ლუარსაბ I-ის ძე) ჯერ კიდევ მამის სიცოცხლეში მონაწილეობდა ყიზილბაშების წინააღმდეგ ომში. 1560 წელს თავის მრავალრიცხოვან მომხრეებთან ერთად, ის გორიდან გაეშურა ყიზილბაშებისაგან თბილისის გასათავისუფლებლად. მის დასახმარებლად მოვიდა კახეთის მეფის ლევანის შვილი გიორგი, მაგრამ ყიზილბაშთა მრავალრიცხოვან ლაშქართან ომში მარცხი განიცადა და ამ ბრძოლაში დაიღუპა. სიმონმა თავისი მეომრები მთებში განალაგა. შაჰ თამაზმა თბილისის უფროსად სიმონის ძმა დავითი დანიშნა. სიმონმა არ სცნო შაჰის ბრძანება. იგი სახალხო აჯანყებას ედგა სათავეში და ბრძოლას განაგრძობდა. მან სასტიკად დაამარცხა თავისი ძმა დავითი. ყიზილბაშმა მეომრებმა დავითი მიატოვეს და ბრძოლია ველიდან თავქუდმოგლეჯილნი გაიქცნენ.

შაჰ თამაზმა სიმონის წინააღმდეგ ყიზილბაშთა ახალი ჯარი გაგზავნა ჩერქეზეთის სულთნის მეთაურობით. რიცხოვრები უპირატესობის მქონე შაჰის ურდოებმა შეძლეს აჯანყებულთა დამარცხება. სიმონი ბრძოლაში დაიჭრა და ტყვედ ჩავარდა. იგი მიიყვანეს ქალაქ ყაზვინში, რომელიც 1598 წლამდე სეფიანთა სახელმწიფოს სატახტო ქალაქი იყო. შაჰ თამაზი ცდი-

ლობდა სიმონისათვის მუსლიმანური სარწმუნოება მიეღებინებინა, მაგრამ კატეგორიული უარი მიიღო. გაბრაზებულმა იგი ალამუთის ციხეში ჩაამწყვდია, სადაც შაჰ თამაზის სიცოცხლის დასასრულამდე (1576 წ.) დარჩა. სიმონი ალამუთის ციხიდან გამოვიდა შაჰ თამაზის მემკვიდრის — ისმაილ II-ის დროს, რომელმაც იგი ქართლის მეფედ დანიშნა. სიმონი მონაწილეობდა ისმაილ II-ის შაჰად დასმის ცერემონიალში, სადაც დამსწრეთა შორის ერთ-ერთი ყველაზე საპატიო ადგილი ეკავა.

ისმაილ II-ის მემკვიდრის მოჰამედ ხოდაბანდეს გამგებლობის პირველ წლებში (1580), ოსმალების ჯარმა დაამარცხა ყიზილბაშთა რაზმები, რომლებიც საქართველოში იმყოფებოდნენ. ოსმალთა მხედართმთავარმა ლალა ფაშამ სიმონ I თავისთან მიიწვია. სიმონმა უარი უთხრა მიწვევაზე და სეფიანთა შაჰს დაუკავშირდა. ამასთან ერთად, მან არაერთხელ შეუტია ოსმალთა რაზმებს, რომლებიც საქართველოს ტერიტორიაზე გადადიოდნენ.

1581 წელს მოჰამედ ხოდაბანდემ შექმნილი სიტუაციით ისარგებლა და სიმონს სთხოვა, მიეთხოვებინა მისთვის თავისი ქალიშვილი. სიმონმა უარი უთხრა ამ თხოვნაზე. მაშინ მოჰამედ ხოდაბანდემ სიმონის უარი საბაბად გამოიყენა და საქართველოს დაესხა თავს (11, გვ. 270). სიმონს ძალა არ ეყო წინააღმდეგობა გაეწია ყიზილბაშთა 20 ათასიანი არმიისათვის, იძულებული გახდა შაჰის მოთხოვნა შეესრულებინა და თავისი ქალიშვილი შაჰის სასახლეში გაეგზავნა. ამას გარდა, შაჰის წარმომადგენელ მირზა სალმანის მოთხოვნით მან შაჰის სასახლეში გაგზავნა თავისი მცირეწლოვანი შვილი ლუარსაბი (შემდეგში ლუარსაბ მეორედ წოდებული) და ვალდებულება იკისრა ხარკი გადაეხადა.

შაჰ აბას I-ის გამგებლობის პირველ წლებში (1588), ოს-



მალეთის ჯარებმა ყიზილბაშები დაამარცხეს და საქართველოს აღმოსავლეთი რაიონები დაიკავეს. ოსმალთა მეთაურმა აფენდინმა ჰად ფაშამ სიმონს მასთან თანამშრომლობა მოსთხოვა. სიმონი იძულებული იყო დათანხმებოდა ფარჰად ფაშასთან თანამშრომლობას, რომელმაც იმ დროს ყიზილბაშები დაამარცხა (11, გვ. 406).

1597 წელს სიმონი კვლავ ოსმალთა ჯარების წინააღმდეგ იბრძოდა, მაგრამ ოსმალებმა დაამარცხეს იგი, დაატყვევეს და სტამბოლში გაგზავნეს. ქართლის მეფე სიმონის შვილი გიორგი გახდა.

გიორგი სიმონის ძემ თავისი მამა შესცვალა 1597 წელს. 1602 წელს შაჰ აბას I-მა იგი ირანში მიიწვია, დიდი პატივით მიიღო და დაამტკიცა ქართლის მეფედ. შემდეგ სასწრაფოდ გაგზავნა თბილისში, რადგან ქართლზე ოსმალთა ჯარების თავდასხმას ელოდებოდა. გიორგი მოულოდნელად გარდაიცვალა 1606 წელს, როცა შაჰ აბასი ჯერ კიდევ საქართველოში იმყოფებოდა. იგი ლუარსაბ I-ის შვილმა დავითმა შესცვალა.

დავით ლუარსაბის ძე (სიმონის ძმა) შაჰ თამაზ I-ის საქართველოში ლაშქრობების დროს (XVI საუკუნის 40-იანი წლები) მამის პოლიტიკურ ხაზს ჩამოშორდა და მისი საწინააღმდეგო პოზიცია დაიკავა. 1555 წელს ის გაემგზავრა სეფიანთა დედაქალაქ ყაზვინში, სადაც დიდი პატივით მიიღეს. მალე დავითმა მუსლიმანობა მიიღო, განარებულმა შაჰ თამაზმა მას თავისი შვილი უწოდა (11, გვ. 99) და თბილისის მმართველად დანიშნა. აქ იგი 1579 წლამდე დაჰჩა. ამ დროის მანძილზე დავითმა რამდენჯერმე (1558, 1560 წწ.) ომი გაუმართა თავის ძმას — სიმონს, ბოლოს 1568 წელს ყიზილბაშთა ჯარის დახმარებით დაამარცხა იგი. დატყვევებული სიმონი შაჰ თამაზმა ალამუთის ციხეში გაგზავნა.

1579 წელს დავითმა თბილისი დატოვა და გორში გაიქცა,

ვინაიდან ოსმალთა ჯარების (ლალა ფაშას მეთაურობით) წინა-
აღმდეგ ბრძოლის შესაძლებლობა არ ჰქონდა. 1581 წელს ირან-
ნიდან სიმონის დაბრუნების შემდეგ დავითი გარდაიცვალა
(11, გვ. 272).

ლუარსაბ გიორგის ძემ (შემდეგ ლუარსაბ მეორედ წი-
ლებული) 1606 წელს თავისი გარდაცვლილი მამის ადგილი და-
იკავა, ხოლო 1609 წელს შაჰ აბასმა ოფიციალურად დაამტკი-
ცა ქართლის მეფედ. მალე მას ბრძოლა მოუხდა თათართა
ბრბოების წინააღმდეგ და მრავალი მოთარეშე გაუწყვიტა მათ,
რომლებიც განუწყვეტლივ ესხმოდნენ თავს საქართველოს. გა-
მარჯვებულმა ლუარსაბმა დაატყვევა თათართა მეთაურები ჯი-
ლა ფაშა და ფარჰად ფაშა, რომლებიც მჭიდროდ იყვნენ და-
კავშირებული ოსმალეთის სულთანთან. თათართა ბანდების
განადგურების შემდეგ მათი მეთაურები ლუარსაბმა შაჰ აბას
I-ს გაუგზავნა (11, გვ. 786).

1610 წელს შაჰ აბას I-ის მიწვევით ლუარსაბი თავის დე-
დასთან ერთად შაჰის კარზე გაემგზავრა. ის ფაშანის გზაზე მათ
პატივისცემით ეგებებოდნენ ადგილობრივი მმართველები
(აზერბაიჯანის ვალი და სხვ.). შაჰმა პირადად მიიღო დედა-
შვილი და დიდი პატივი სცა. ისინი შაჰთან ექვსი თვე დარჩნენ,
და ამ ხნის მანძილზე ყოველთვის თან ახლდნენ ხოლმე შაჰს
ნადირობისა და დასვენების დროს. ლუარსაბი და დედამისი
სამშობლოში დაბრუნდნენ მას შემდეგ როცა შეიტყვეს დიდ-
ვეზირ მურად ფაშას მეთაურობით ოსმალეთის ჯარის აზერ-
ბაიჯანზე თავდასხმისა და საქართველოსაკენ დაძვრის ამბავი.

1612 წელს ლუარსაბმა კიდევ ერთ წარმატებას მიაღწია.
მან გაანადგურა ყაზახლარის ტომი, რომელიც (ისევე როგორც
თათრები) სისტემატურად ესხმოდა თავს ქართლის რაიონებს,
ძარცვავდა ქვეყანას, ასრულებდა ოსმალეთის სულთანის მი-
თითებებს, ატყვევებდა და ყლუტდა მშვიდობიან მოსახლეობას.

ეს ის ყაზაყლარის ტომია, რომლის მეთაურმა ნაზარ სულთანმა დაატყვევა და ოსმალთა ჯარებს გადასცა ქართლის მეფე სიმონი (II, გვ. 856).

ლუარსაბი დაუღალავად ებრძოდა ყიზილბაშებსაც, მან 1613 წელს კახეთის მეფე თეიმურაზთან ერთად შექმნა საერთო ფრონტი შაჰ აბასის წინააღმდეგ, რომელიც კვლავ აპირებდა საქართველოზე თავდასხმას, მაგრამ ვინაიდან შესაძლებლობა არ ქონდათ ყიზილბაშთა მრავალრიცხოვანი ურდოების წინააღმდეგ ებრძოლათ, ისინი იძულებული იყვნენ უკან დაეხიათ და იმერეთის მეფე გიორგისთან წასულიყვნენ. 1614 წელს შაჰმა შეძლო დაეტყვევებინა ლუარსაბ II, რომელიც იმერეთის მეფესთან (გიორგისთან) იყო თავშეფარებული, ირანში წაიყვანა იგი (2, გვ. 296) და აუკრძალა ქართლში დაბრუნება.

1616 წელს შაჰ აბასის საქართველოზე ლაშქრობის წინ ის ასთარაბადში გაიგზავნა, სადაც უნდა დარჩენილიყო შაჰის მიერ ახალი გადაწყვეტილების მიღებამდე (11, გვ. 897). 1622 წელს ლუარსაბი შაჰის ბრძანებით მოკლეს.

ბაგრატ დავითის ძე (ლუარსაბ I-ის შვილიშვილი) ჯერ კიდევ ბავშვობისას გაგზავნა შაჰის კარზე მამამისმა. 1616 წელს შაჰ აბასმა იგი ქართლის მეფად დანიშნა, სადაც ბაგრატი იმავე წელს გაემგზავრა. შემდეგში ბაგრატი ურთიერთობა შეინარჩუნა შაჰ აბასთან და მისი მითითებით არაერთხელ გაილაშქრა თეიმურაზის წინააღმდეგ. 1617 წელს საქართველოზე თავისი ახალი ლაშქრობის დროს, შაჰი მასთან იმყოფებოდა თბილისში და უხვდაც დაასაჩუქრა იგი.

1619 წელს ბაგრატი თბილისში გარდაიცვალა. შაჰ აბასის ბრძანებით ის შეცვალა მისმა მცირეწლოვანმა შვილმა სიმონმა, რომელიც გიორგი სააკაძის მეურვეობის ქვეშ უნდა ყოფილიყო (11, გვ. 947).

სიმონ II (ბაგრატის ძე) ბავშვობისას ერთხანს შაჰის კარ-

ზე იმყოფებოდა. 1619 წელს მამის სიკვდილის შემდეგ ქართლ-ში გაემგზავრა და მოვალეობის შესრულებას შეუდგა. მასთან ერთად წამოვიდა გიორგი სააკაძეც, რომელიც შაჰის ბრძანებით დაინიშნა სიმონის ვეჟილად (მეურვე-რწმუნებულად). 1623 წელს დაქორწინდა შაჰის არსენალის გამგებელ ისა ხან ყორჩი ბაშის (შაჰ აბასის შვილიშვილი) ქალიშვილზე. 1625 წელს, გიორგი სააკაძისა და თეიმურაზის მეთაურობით ქართველი ხალხის აჯანყების დროს, იგი იძულებული გახდა თბილისი დაეტოვებინა და ყარაბაღის მმართველ მოჰამედ ყული ხანთან ერთად ყარაბაღში გაქცეულიყო. ამის შემდეგ თეიმურაზი თბილისში დაბრუნდა და ქვეყნის მართვას შეუდგა (11. გვ. 1061).

როსტომ (ირანული წყაროების მიხედვით ხოსრო) დავითის ძე — ბაგრატის ძმა (1632—1658 წწ.) ხანგრძლივად ცხოვრობდა ირანში, აღიზარდა შაჰ აბას I-თან და მიიღო მუსლიმანური სჯული. ხოსრო ეკუთვნოდა იმ ქართველ დიდებულთა რიგებს, რომლებმაც ყველაზე მაღალ თანამდებობას მიაღწიეს ირანში. იყო სეფიანთა სატახტო ქალაქ ისფაჰანის ქალაქის თავი (დარულა) (17. გვ. 378). 1625 წელს ის მეთაურობდა სპეციალისტების ჯგუფს, რომელიც შაჰ აბასმა გაგზავნა ქალაქ ბაღდადში სამშენებლო სამუშაოთა საწარმოებლად. შაჰ აბასის გარდაცვალების დროს (1629 წ.), იგი როგორც ისფაჰანის დარულა ქალაქში მომხდარი ამბების ზედამხედველის მოვალეობას ასრულებდა. ამავე დროს იგი ცდილობდა შაჰის ტახტზე დაესვა უფლისწული საამ მირზა, რომელსაც შემდგომში შაჰ სეფი ეწოდა (II, გვ. 1057 და 1078).

1632 წელს ქართლ-კახეთის ტახტიდან თეიმურაზის ჩამოგდების შემდეგ, შაჰ სეფიმ ხოსრო დანიშნა ქართლის მეფედ და შეარქვა მას როსტომ ხანი (ძველი ლეგენდარული ირანელი

გოლიათის სახელი ფირდოუსის „შაჰნამედან“ — მ. ფ.) (14, გვ. 284).

XVII საუკუნის შუახანებიდან (როსტომ ხანისა და მისი მემკვიდრეების მმართველობის პერიოდში) საქართველოსა და ირანს შორის ურთიერთობა ვითარდებოდა ორმხრივი პოლიტიკურ კომპრომისის საფუძველზე (2, გვ. 305).

ქართველ მეფეთა მისწრაფება ქვეყნის დამოუკიდებელი განვითარებისაკენ დადასტურებულია იმდროინდელი ირანელი და დასავლეთევროპელი ავტორების მიერ. მაგალითად, შაჰ აბას II-ის მემკვიდრის—სულეიმანის გამგებლობის პერიოდში ირანში მყოფი ფრანგი მოგზაური ტავერნიე საქართველოს არ იხსენიებს ირანის ადმინისტრაციულ დანაყოფების შემადგენლობაში, როცა აბას II-ის გამგებლობის დასაწყისს (XVII საუკუნის 40-იანი წლები) ეხება. ტავერნიე ჩამოთვლის ირანის 18 პროვინციას, მათ შორის სომხეთსაც, მაგრამ ამ სიაში საქართველო არ შედის (16, შესავალი, გვ. „ტ“) დიდი ვეზირი სულეიმან მოჰამედ თაჰირ ვაჰიდ ყაზვინელი კი (1606—170!) ხაზს უსვამს, რომ როსტომ ხანი ცდილობდა დამოუკიდებლად ემართა ქვეყანა (16, გვ. 43).

როსტომ ხანი აბას II-ის დიდი ნდობით სარგებლობდა; ირანიდან წამოსვლისა და საქართველოში მისი მმართველობის პერიოდშიც კი შაჰი ყოველთვის ეთათბირებოდა მას სახელმწიფო საკითხების გადაწყვეტისა და მაღალი რანგის მოხელეების დანიშვნის დროს. მაგალითად, აბას II-ს არაერთხელ მიუმართავს მისთვის პროვინციის მმართველების, მათ შორის 1655 წელს ისფაჰანის პროვინციის მმართველის მაღად ბეგის დანიშვნის დროს (16, გვ. 219). როსტომ ხანი ცდილობდა მეგობრული ურთიერთობა შეენარჩუნებინა სეფიანთა შაჰებთან. იშვიათი გამონაკლისის გარდა, მათ შორის უთანხმოება არ მომხდარა (16, გვ. 14, 43, 286). იგი ებრძოდა თეიმურაზს, მის

შვილს დავითს (1642 წ., 1648 წ. და ა. შ.) და სხვა ქართველ მოღვაწეებს. ამასთან ერთად, როსტომ ხანი სეფიანთა შაჰთან ბრძოლასაც განაგრძობდა. 1642 წელს, იმისათვის, რომ თავისი ძალაუფლება დაემყარებინა ქართლში და შეესუსტებინა შაჰის გავლენა საქართველოში, იგი საიდუმლოდ დაუკავშირდა ქართლის დიდ თავადებს — ზაალ და ნუგზარ ერისთავებს, იორამ ამილახვარს. ერისთავმა და ამილახვარმა შაჰის (აბას II) მოსაკლავად კაცი გაგზავნეს, მაგრამ გზაზე ყარაულებმა მათი განზრახვა შეიტყვეს. შაჰის მოსაკლავად გაგზავნილი კაცი გაიქცა (16, გვ. 43).

ვახტანგ V მუხრან-ბატონი (ირანული წყაროების მიხედვით ნახოდა ბეგი, შაჰნავაზ ხანად წოდებული) (1658—1675 წწ). „1658 წლიდან ქართლის ტახტი ბაგრატიონთა სამეფო სახლის ერთ-ერთი შტოს — მუხრან-ბატონების დინასტიის ხელში გადავიდა“ (2, გვ. 310).

საქართველოში მმართველად დანიშვნამდე შაჰნავაზი აბას II-თან ახლო მდგომ მოღვაწეთა რიცხვში შედიოდა და მისი ნდობით სარგებლობდა. აბას II-ის მითითებით, მას გადაეცა როსტომ ხანის მთელი ქონება, ვახტანგმა ცოლად შეირთო როსტომის ქვრივი (16, გვ. 247). შაჰნავაზის საშინაო პოლიტიკა მიმართული იყო ცენტრალური ხელისუფლების განმტკიცებისა და ქვეყნის გაერთიანებისაკენ. ამ მიზნით ის იბრძოდა ქართლთან აღმოსავლეთ და დასავლეთ საქართველოს ქართული სამეფოების შემოსაერთებლად. საგარეო პოლიტიკის დარგში იგი იღებდა ორიენტაციას ირანზე, რომლის დახმარებითაც ცდილობდა თავისი გეგმების განხორციელებას და მოწინააღმდეგეთა განადგურებას.

აბას II შაჰნავაზს იყენებდა საქართველოში ოპოზიციური დაჯგუფებების წინააღმდეგ საბრძოლველად, შაჰმა 1659 წელს ქართლში გამოგზავნა სპეციალური მისია საფი ყული ხან სა-



თანჯლუს მეთაურობით. 1661 წელს მან აბას II-ის ბრძანებით ზაალ ერისთავი მოაკვლევინა, ხოლო მისი შვილები შაჰის ჰე გაგზავნა, ზაალის უფროსი შვილი ქერმანში გარდაიცვალა (16, გვ. 304).

შაჰნავაზმა დასავლეთ საქართველოზეც გაილაშქრა (1660 და 1661 წწ.). ებრძოდა იმ დროს იმერეთის სამეფოს სათავეში მოქცეულ ვამიყს და ეს მხარეც დაიპყრო, მაგრამ დაპყრობილი მიწების შენარჩუნება ვერ შეძლო ოსმალეთის სულთნის საქმეში ჩარევის გამო. 1662 წელს აბას II-მ წერილობითი პროტესტი მიიღო ერევანში სულთანის ნაცვალ ნაჯაფყული ხანისაგან დასავლეთ საქართველოში შაჰნავაზის გალაშქრების გამო. აბას II შიშობდა, რომ ამ ამბავს ოსმალეთის ჯარების შეტევა მოყვებოდა და ბრძანა, რომ თურქებისათვის გადაეცა მათ მიერ მოთხოვნილი რაიონები (16, გვ. 324).

შაჰნავაზი ქართლში მეფობდა აბას II-ის სიკვდილის შემდეგაც (მისი მემკვიდრის — შაჰ სულეიმანის მმართველობის პირველ წლებში), გარდაიცვალა 1675 წელს. იგი მისმა შვილმა გიორგი XI-მ შეცვალა.

გიორგი შაჰნავაზის ძე (1677—1688 წწ.) ქართლში მეფობდა სეფიანთა შაჰ სულეიმანის მმართველობის (1666 — 1694 წწ.) დროს. ქართლში მეფობის 12 წლის მანძილზე იგი განუწყვეტლად იბრძოდა ყიზილბაშების წინააღმდეგ და ქედს არ იდრეკდა შაჰის წინაშე. 1688 წელს, როცა გიორგი სათავეში ჩაუდგა სახალხო აჯანყებას, სეფიანთა შაჰმა იგი ქართლში მეფობას ჩამოაშორა. გიორგი ერეკლე I-მა შეცვალა.

ერეკლე პირველი — თეიმურაზის შვილიშვილი (ირანული წყაროების მიხედვით ალყრე მირზა, რომელსაც შერქმეული ჰქონდა ნაზარალი ხანი) (1688 — 1703 წწ.) ჯერ კიდევ პაპის (თეიმურაზის) სიცოცხლეში გაიგზავნა რუსეთში განათლების მისაღებად. რუსეთში ყოფნის დროს 1661 წელს თეიმურაზსა

და აბას II-ს შორის დადებული შეთანხმებების საფუძველზე, ერეკლე უნდა დაენიშნათ მეფედ კახეთში, მაგრამ რუსეთიდან დაბრუნებისას მან უარი თქვა აბას II-ის ბრძანების შესრულებაზე. კახეთის მეფედ აბას II-მ შაჰნავაზის შვილი არჩილი დანიშნა (16, გვ. 303—304), შემდეგში კი (1688 წ.) აბას II-ის მემკვიდრე სულეიმანმა იგი განაწესა მეფედ ქართლში, სადაც მეფობდა უკანასკნელი სეფიანი შაჰის სულთან ჰუსეინის (1694 — 1722 წწ.) გამგებლობის პირველ წლებშიც.

ერეკლემ გამოიყენა რუსეთში მიღებული განათლება და ქართლში ზოგიერთი ადმინისტრაციული რეფორმა გაატარა (მან ცვლილებები მოახდინა საქალაქო მმართველობაში, საქალაქო რეწვის განვითარებაში და სხვ.). თავისი ძალაუფლების გაფართოების მიზნით ის იბრძოდა ქართლ-კახეთის ტახტის გასაერთიანებლად და ამისათვის გარეგნულად მეგობრულ ურთიერთობას ინარჩუნებდა ირანთან.

1703 წელს სულთან ჰუსეინმა საქართველოში დანიშნა მეფეთა „ჯანეშინები“ (მოადგილეები): ვახტანგ ლევანის ძე (გიორგის ბიძაშვილი) ქართლში, ხოლო დავით ერეკლეს ძე (იმამყული ხანი) კახეთში. ამ დროს ქართველი მეფეები ირანში ცხოვრობდნენ და მალალი თანამდებობები ეკავათ.

1709 წელს ირანში ავღანთა შემოსევების წინ სულთან ჰუსეინმა ქართლის მეფე გიორგი XI ყანდაჰარის გუბერნატორად განაწესა, მაგრამ იგი მალე დაიღუპა ავღანებთან ბრძოლაში, რომელსაც მირვეისი მეთაურობდა. 1711 წელს შაჰმა ლევანის შვილი ქაიხოსრო ხანი (გიორგის ბიძაშვილი) გაგზავნა მირვეისის წინააღმდეგ. ქაიხოსრო ხანმა ალყა შემოარტყა ყანდაჰარს, სადაც ერთი წელი დარჩა, მაგრამ 1712 წელს, ავღანთა ახალი ლაშქრობის დროს ისიც დაიღუპა (14, გვ. 292 და 294).




როგორც ცნობილია, ჩვენს მიერ შესწავლილ პერიოდში (XVI — XVII საუკუნეები) სამხრეთ და დასავლეთ საქართველოს მმართველები ძირითადად ბრძოლას წარმართავდნენ ოსმალეთის სულთნების დაპყრობითი პოლიტიკის წინააღმდეგ. ამასთან ერთად, საქართველოს ცალკეული ხელმძღვანელები მოხერხებულად იყენებდნენ ოსმალეთის იმპერიისა და სეფიანთა ირანის მეტოქეობას საქართველოში თავიანთი ძალაუფლების გაფართოებისათვის და ახერხებდნენ ირანთან ურთიერთობის დამყარებასაც. ისინი სარგებლობდნენ სეფიანთა შაჰების მხარდაჭერით ოსმან დამპყრობთა წინააღმდეგ.

მოკლედ შევჩერდებით მათ შესახებ.

ქაიხოსრო. ირანელი ისტორიკოსები იხსენიებენ სამხრეთ და დასავლეთ საქართველოს მმართველთა შეხვედრებს სეფიანთა შაჰ თამაზ I-თან საქართველოში მისი პირველი შემოსევების დროს (XVI საუკუნის 40-იან წლებში). „მაშინ (1540 წ.)— აღნიშნავს ისქანდერ ბეგ მუნში, — ყოყორეს (ყვარყვარეს) ძე ქაიხოსრო, შაჰის ამაღლაში შევიდა, მასთან ახლო ურთიერთობა ჰქონდა და მის მხარდაჭერას ემყარებოდა. მაგრამ ქართლის „ვალი“ (მმართველი) ლუარსაბი, ბაშიაჩუყის* „ვალი“ ბაგრატი და სადადიანოს „ვალი“ შაჰს ეწინააღმდეგებოდნენ, მის ბრძანებებს არ ემორჩილებოდნენ. ისინი თავს ესხმოდნენ შაჰის მორჩილებაში მყოფ ქაიხოსროს სამფლობელოებს (იგულისხმება სამცხე — მ. ფ.) (11, გვ. 84).

დასავლეთ საქართველოს მმართველობის დაახლოებამ სეფიანთა შაჰთან, შესაძლებლობა მისცა ამ უკანასკნელს ებრძოლა ოსმალეთის წინააღმდეგ და საქართველოში თავისი სამფ-

* სპარსულ წყაროებში იმერეთს „ბაშიაჩუყი“ ეწოდება.



ლობელოები გაეფართოებინა. 1551 წელს ქაიხოსროს თხოვნით შაჰ თამაზ I-მა მას გაუგზავნა ყიზილბაშთა ახალციხეში, რომლებმაც ოსმალები განდევნეს მათ მიერ დაკავებული ზოგიერთი რაიონიდან. „შაჰმა ხელსაყრელი შემთხვევით ისარგებლა და ოსმალები სამცხიდან განდევნა. ამჟერად თურქეთმა ვერ შეძლო ქართველი ხალხის წინააღმდეგობის გატეხვა და 1555 წლის საზავო ხელშეკრულებით მან სამცხე-საათაბაგოს აღმოსავლეთი ნაწილი ყიზილბაშების სამფლობელოდ ცნო“ (2, გვ. 289). მაგრამ შემდეგში თურქებმა კვლავ დაიპყრეს ყიზილბაშთა სამფლობელოები სამცხეში. მათ გადააყენეს ქაიხოსრო და იგი თურქი მოხელით შესცვალეს.

სიმონ I-ის სიძე მანუჩარი (ირანული წყაროებით მანუჩარ ხანი), მისი ცოლი ელენე და შვილი ათაბაგი. XVI საუკუნის 80—90-იან წლებში ქართლის მეფე სიმონ I-თან ერთად ოსმალთა ჯარების წინააღმდეგ თავდადებულად იბრძოდა ახალციხის მმართველი მანუჩარი, მისი მამაცი ცოლი ელენე (სიმონ I-ის ქალიშვილი) და შემდეგში მისი შვილი ათაბაგი. ოსმალების წინააღმდეგ ბრძოლაში მათ მხარს უჭერდა სეფიანთა შაჰი მოჰამად ხოდაბანდე და მისი შვილი აბას I. ლალა ფაშას მეთაურობით ოსმალთა ჯარების სამხრეთ საქართველოზე ლაშქრობის დროს (XVI საუკუნის 80-იანი წლების დამდეგს), მანუჩარმა უარი თქვა დამორჩილებოდა ოსმალთა მხედართმთავარს და ქართლში (სიმონთან) წავიდა. მაგრამ ოსმალთა ლაშქარმა ძალით ჩაიგდო ხელში ახალციხის სიმაგრე. 1590 წლის სტამბოლის საზავო ხელშეკრულებით, ოსმალეთმა განიმტკიცა უფლებები ამიერკავკასიაში, მაგრამ შაჰ აბას I დამარცხებას არ ურიგდებოდა და პერიოდულად გზავნიდა ახალციხეში ყიზილბაშთა რაზმებს.

მანუჩარის სიკვდილის შემდეგ მისმა ცოლმა ელენემ უარი განაცხადა ეცნო ახალციხეზე ოსმალთა ძალაუფლება და მათ

წინააღმდეგ ბრძოლას განაგრძობდა. ბოლოს, 1607 წელს, მან დაპყრობილი რაიონებიდან განდევნა ოსმალთა ლაშქარი. ტყვედ ჩაიგდო მათი მეთაური იუსუფ ფაშა. ამ ბრძოლაში შაჰ შაჰ აბასი ეხმარებოდა. იმისათვის, რომ უფრო ნათლად წარმოვიდგინოთ ქართველი ქალის უდიდესი გმირობა და სიმამაცე, ქალისა, რომელიც წლების მანძილზე ვაჟკაცურად უძლებდა დიდ განსაცდელს, მოვიტანთ მოკლე ნაწყვეტს ისქანდერ ბეგ მუნშის საისტორიო თხზულებიდან („თარიხე ალამარაიე აბასი“). „რუმის (ოსმალეთის) ჯარების მიერ მანუჩარ ხანის სამფლობელოების დაპყრობის შემდეგ, მისი გულადი მეუღლე, სიმონ ხანის ქალიშვილი თავის მცირეწლოვან შვილთან და ნათესავებისა და ხელქვეითების მცირე რიცხვთან ერთად ამ მხარის მთებსა და ტყეებში გამაგრდა 25 წლის მანძილზე, როცა საქართველო რუმის ხელში იმყოფებოდა, იგი ყოველთვის ესწრაფოდა, რათა მისი მხარე, ისევე, როგორც საქართველოს სხვა მიწები თურქებს მისი შვილისათვის—ათაბაგისათვის დაებრუნებინათ ხარკის გადახდის სანაცვლოდ. თურქებმა მას პატარა ნაჭერი მიწა გამოუყვეს, სადაც იგი გაჭირვებას განიცდიდა.

1607 წელს, აბასის საქართველოში ლაშქრობის დროს, მან შაჰს დახმარება სთხოვა, რათა დაკარგული მიწები დაებრუნებინა. შაჰის ბრძანებით მის დასახმარებლად მოვიდნენ შამსედდინლუსა და ყაზაყლიარის ამირები. გულადმა ქალმა თავის მორჩილთა და ყიზილბაშ ამირებთან ერთად გამარჯვება იზეიმა იუსუფ ფაშაზე. ტყვედ ჩაიგდო იგი და მისი 150 თურქი... მან დაიბრუნა ახალციხის მიწების დიდი ნაწილი... ათაბაგი, რომელიც ამ დროს უკვე თექვსმეტი წლისა გახდა, თავის დედასთან ერთად ქალაქში (ახალციხეში მ. ფ.) შევიდა“ (11, გვ. 785).

1068 წელს ოსმალთა ჯარი, რომელმაც მამველი ძალები

შილო, ახალ წინამძღოლ მურად ფაშას მეთაურობით საქართველოს შემოესია. მტრის ურიცხვ ჯართან ბრძოლაში მანუჩარის ცოლი დამარცხდა და თავისი შვილითურთ ბიძაშვილთან ქართლის მეფე ლუარსაბ II-თან გადავიდა. იქიდან ათაბაგი შაჰის სასახლეში გაგზავნეს.

1622 წელს ოსმალებზე გამარჯვების შემდეგ, შაჰ აბასმა თავისი ჯარი ამირგუენე ხან ყაჯარის მეთაურობით ახალციხეზე გაგზავნა. ყიზილბაშთა რაზმებმა ქალაქი დაიკავეს, ხოლო ახალციხის მმართველად შაჰმა სელიმ ხან შამს ედ-დინი დანიშნა (11, გვ. 1007).

1625 წელს ირანიდან დაბრუნებული ათაბაგი შეუერთდა აჯანყებულებს, რომლებსაც გიორგი სააკაძე და თეიმურაზ ედგნენ სათავეში. აჯანყებულთა დამარცხების შემდეგ, ათაბაგი სხვა ხელმძღვანელებთან ერთად დასავლეთ საქართველოში გადავიდა (11, გვ. 1027—1028).

არჩილ ვახტანგის ძე (ირანული წყაროების მიხედვით შაჰნავაზ ხანი). კახეთში გამგებლობის პერიოდში შაჰნავაზ ხანი (ვახტანგ V) იბრძოდა საქართველოს მიწების გაერთიანებისათვის, ხოლო გაერთიანებული სამეფოს მეფედ უნდოდა თავისი შვილი არჩილი დაენიშნა, ამ მიზნით მან რამდენჯერმე ვაილაშქრა დასავლეთ საქართველოზე. 1660 წელს დაამარცხა სამეგრელოს მთავარი ვამიყის და იმერეთის მეფე გიორგის (თეიმურაზის სიძე) ლაშქარი, და დაიპყრო იმერეთის ნაწილი (16, გვ. 296).

1661 წელს იმერეთში მეორე ლაშქრობის დროს შაჰნავაზმა საბოლოოდ დაამარცხა ვამიყი და განდევნა იგი თავისი სამფლობელოებიდან; დამარცხებული ვამიყი შაჰნავაზის მდევრებმა მოკლეს (16, გვ. 314).

შაჰნავაზმა სთხოვა აბას II-ს, რომ არჩილი იმერეთის მეფედ დაენიშნა, მაგრამ ვინაიდან აბას II-ს შაჰნავაზის ვაძლი-



ერებისა ეწინოდა, მან უარი თქვა თხოვნის შესრულებაზე და იმერეთის მეფედ ვამიყის დისწული შემადავლედ დანიშნა. როგორც ვორც ზემოთ ითქვა, დასავლეთ საქართველოს საქმეებში ჩარევის წინააღმდეგ პროტესტი განაცხადა ოსმალეთის სულთან-მა. ამიტომ შაჰნავაზი იძულებული გახდა უარი ეთქვა თავის გეგმებზე, ამასთან ერთად, მან არჩილი სამეგრელოში დატოვა, სადაც იგი აბას II-ს ახალ გადაწყვეტილებას უნდა დალოდებოდა (16, გვ. 313—314).

1663 წელს, აბას II-ის მოთხოვნით არჩილი ირანს გაემგზავრა. ამ დროს შაჰი მაზანდარანში ისვენებდა. მან არჩილი ქალაქ ამრაფში მიიღო. არჩილთან ერთად ირანში ჩავიდა ქართველი თავადებისა და აზნაურების ჯგუფი, რომელშიც შედიოდნენ გივი ბეგ ამილახვარი, ალზიარ ბეგი და სხვები. შაჰმა ისინი დიდი პატივით მიიღო და მათ თანხმლებლად დანიშნა ოფიციალური პირი ამირ ჰამზა ბეგ თალიშელი. მაზანდარანში ყოფნის დროს ისინი შაჰს ახლდნენ ნადირობებსა და ნადიმებზე (16, გვ. 327). იმავე წელს მაზანდარანიდან შაჰის დაბრუნების დროს, აბას II-ის მოთხოვნით არჩილმა და გივი ბეგმა მუსლიმანობა მიიღეს (16, გვ. 331).

თეირანში (ხარში) დაბრუნებულმა აბას II-მ უხვად დაასაჩუქრა არჩილი და იგი კახეთის მეფედ დანიშნა (16, გვ. 304), მან არჩილს შაჰნავაზარ ხანი დაარქვა და ამილახვართან ერთად საქართველოში გამოისტუმრა, მათ სპეციალურ თანხმლებლად შაჰის მხედართა უფროსი მოჰამად რეზა ბეგ ჩალათაი გამოაცოლა (16, გვ. 332). იმავე დროს შაჰმა თეიმურაზთან მისი ახლობლები გაგზავნა ხორასანში (თეიმურაზი იმავე 1663 წელს გარდაიცვალა).

დ. ცალკეული ქართველი სახელმწიფო მოღვაწენი

ქართველ აზნაურთა ოჯახიდან გამოსული გიორგი სააკაძე დიდი სახელმწიფო მოღვაწე და მხედართმთავარი იყო.

მის დიდ ნიჭსა და ღირსებას აღნიშნავენ არა მხოლოდ ქართ-
ველი ისტორიკოსები, არამედ უცხოელი ავტორებიც. თანამედროვე
ისტორიკოსები მას სთვლიან „ავტორიტეტულ და კეთილმო-
ბილ სახელმწიფო მოღვაწედ“ (11, გვ. 947) და „ერთ-ერთ ქარ-
თველ დიდებულად... რომელმაც ბრძოლებში დიდი მოხერხება
და ოსტატობა გამოიჩინა“ (14, გვ. 283).

გიორგი სააკაძეს ქართლში მაღალი თანამდებობები ეკავა,
1606 წლიდან თბილისის მოურავი იყო. 1612 წელს, მეფე ლუ-
არსაბ II-თან უთანხმოების გამო, იგი იძულებული გახდა თა-
ვის ოჯახთან ერთად გადახვეწილიყო ირანს, სადაც 1616 წლამ-
დე ცხოვრობდა.

ირანში ყოფნის დროს გიორგი სააკაძე შაჰის ერთ-ერთი
უახლოესი მრჩეველი იყო (განსაკუთრებით საქართველოს სა-
კითხებში). ისქანდერ ბეგ მუნშის მოწმობით, ის იყო „საპატიო
და საყვარელი კაცი... შედიოდა შაჰ აბასის ნდობით აღჭურ-
ვილ და დაახლოებულ პირთა რიცხვში. ის იყო მოღვაწე, რო-
მელმაც ყველაფერი იცოდა საქართველოს ავ-კარგის შესახებ.
თავისი გამბედაობისა და კეთილი სამსახურის წყალობით მან
შაჰის დიდი პატივისცემა დაიმსახურა (11, გვ. 1021).

1616 წელს შაჰ აბასმა გიორგი სააკაძე დანიშნა რწმუნე-
ბულად (ვექილად) ქართლის მეფის ბაგრატის შვილის სიმონ
II-ის კარზე, სადაც 1623 წლამდე დარჩა, ხოლო 1623 წელს
მოადგილედ დაუნიშნა ირანელ სეფაჰსალარ ყარჩიხა ხანს, რო-
მელიც ამ დროს საქართველოში გამოემგზავრა. ყარჩიხა ხანის
ოფიციალურ მიზანს შეადგენდა კახეთის მეფე თეიმურაზთან
საქმის მოგვარება (11, გვ. 102). სინამდვილეში კი შაჰ აბას
I-ის საიდუმლო ბრძანებით მას უნდა გაეტეხა ქართველთა წა-
ნაადმდეგობა და დაემყარებინა ყიზილბაშთა ბატონობა სა-
ქართველოში.

გიორგი სააკაძემ კარგად იცოდა შაჰის განზრახვა. მან გა-

დაქრით თქვა უარი შეესრულებინა მისი გეგმები; მალე იკო
დაუკავშირდა ქართველ აჯანყებულებს და თავის ხელში
ლო აჯანყების ხელმძღვანელობის საქმე. როცა შაჰ აბასმა
„ქართველთა აჯანყების ამბავი გაიგო, ყარჩიხა ხანს საიდუმლო
ბარათი გამოუგზავნა, იგი განმეორებით უბრძანებდა გაეული-
ტა კახელები, გაენადგურებინა ქართლი და მოეკლა თვითონ
გიორგი სააკაძე, ეს წერილი ხელში ჩაუვარდა „დიდ მოურავს“.
დაყოვნება აღარ შეიძლებოდა“ (2, გვ. 303). შაჰ აბასმა ამ
დროს თავი მოკვეთა გიორგი სააკაძის უმცროს შვილს, რომე-
ლიც მასთან სასახლეში იმყოფებოდა. 1625 წელს აჯანყებუ-
ლებმა გიორგი სააკაძის მეთაურობით გაანადგურეს ყიზილ-
ბაშთა ლაშქარი. გიორგი სააკაძემ მოკლა ყარჩიხა ხანი, მისი
შვილი იმამვერდი ხანი, შირვანის ამირა იუსუფ ხანი და სხვა
ყიზილბაში მხედართუფროსები (11, გვ. 1025).

გიორგი სააკაძემ ალყა შემოარტყა თბილისს, დაედევნა
უკუქცეულ ყიზილბაშთა ლაშქარს და მდინარე არაქსამდე მის-
დია. ყიზილბაშებმა დიდი ზარალი განიცადეს. ამ დიდი გამარ-
ჯვების მოპოვების შემდეგ მოურავი და თეიმურაზი დიარბე-
ქირელი თურქი მხედართმთავრის საშუალებით ოსმალეთის
სულთანს დაუკავშირდნენ. თურქეთის მთავარსარდალმა გიორ-
გი სააკაძე ქართლის მმართველად, ხოლო თეიმურაზი კახეთის
მეფედ დანიშნა. ისინი ქვეყნის გამგებლობას შეუდგნენ (11,
გვ. 1026). მომხდარი ამბების შესახებ შაჰ აბასმა მაზან-
დარანში გაიგო და საქართველოში გამოგზავნა ჯარების მსხვი-
ლი შენაერთები ერაყიდან, აზერბაიჯანიდან და შირვანიდან,
რომლებსაც ისა ხან ყორჩი ბაში ხელმძღვანელობდა. გიორგი
საკაძემაც შემოიკრიბა თავის გარშემო მრავალრიცხოვანი
ქართველთა ლაშქარი. მის დასახმარებლად მოვიდა თეიმურა-
ზი, ახალციხის გამგებელი მანუჩარი, მისი შვილი ათაბაგი და
სხვა სახელმწიფო მოღვაწენი და აზნაურნი. 1625 წლის ივლის-

ში თბილისის მახლობლად სოფელ მარაბდასთან გაიმართა ავტორებული ბრძოლა, რომლის დროსაც მრავალი მხედართუფროსი დაიღუპა. აჯანყებულებმა სრულ გამარჯვებას მიაღწიეს (2, გვ. 1027). ყიზილბაშთა რაზმები, რომლებმაც დიდი მასშველი ძალები მიიღეს აზერბაიჯანის მმართველ შაჰ-ბანდუ ხანის მეთაურობით, მეორე დღეს კონტრშეტევაზე გადავიდნენ. საქართველოს სხვადასხვა კუთხიდან და მხრიდან მოსულმა აჯანყებულებმა ვერ გაუძლეს ყიზილბაშთა მრავალრიცხოვანი ურდოების შემოტევას და მარცხი განიცადეს. მათ 10 ათასზე მეტი კაცი დაკარგეს. მაგრამ ქართველებს წინააღმდეგობა არ შეუწყვეტიათ და დიდი ზარალიც მიაყენეს მტერს. ქართველმა მეომრებმა მოკლეს და ტყვედ ჩაიგდეს მრავალი მხედართუფროსი, მათ შორის მსროლელთა ნაწილების მეთაური ამირ გუნე ხანი, აზერბაიჯანელი სეფაჰსალარი შაჰ-ბანდუ ხანი, შირვანის მმართველი ყაზახ ხანი და სხვები (11, გვ. 1028-1030 და 12, გვ. 217-224).

მიუხედავად შეუდრეკელი ბრძოლისა, გიორგი სააკაძემ ვერ შეძლო გამოეხსნა თავისი სამშობლო. 1626 წელს თეიმურაზსა და გიორგი სააკაძეს შორის წარმოშობილი კონფლიქტის შედეგად ეს უკანასკნელი იძულებული გახდა საქართველოს გასცლოდა. იგი დაუკავშირდა ოსმალეთის მხედართმთავარს არზრუმში მურად ფაშას. ოსმალეთის მხედართმთავარი იგი სულთანთან გაგზავნა სტამბოლში (11, გვ. 1061 და 14, გვ. 283).

1627 წელს შაჰ აბასს შეატყობინეს, ოსმალეთის მხედართმთავარი და მთავარი ვეზირი ხოსრო ფაშა გიორგი სააკაძის თანხლებით არზრუმს გაემგზავრა. შაჰმა დრო ხელსაყრელად მიიჩნია, საქართველოზე ახალი ლაშქრობის მოწყობა გადაწყვიტა და ამ განზრახვით ყაზვინში წავიდა. მაგრამ ყაზვინიდან გა-



მოსვლისას იგი ძალიან ავად გახდა ციებ-ცხელებით და უკან გაბრუნდა.

აბას I-ის მემკვიდრის შაჰ სეფის მმართველობის დასაწყისში (1629 წ.) ოსმალეთის სულთანმა ბაღდადში გაგზავნა ჯარი ხოსრო ფაშას მეთაურობით. ამავე დროს გიორგი სააკაძე მოსულსა და აზერბაიჯანში განაწესა (14, გვ. 283). გიორგი სააკაძემ, რომელსაც არ სურდა დამორჩილებოდა ოსმალეთის მხედართმთავრის მკაცრ მოპყრობას, თავის სამშობლოში დაბრუნება გადაწყვიტა, მაგრამ საქართველოში მიმავალი მოურავი გზაში შეიპყრეს თურქმა მხედრებმა და ხოსრო ფაშას გადასცეს. თურქი მხედართმთავრის ბრძანებით, იგი მოკლეს თავის შვილთან და თანმხლებ ამალასთან ერთად. ხოსრო ფაშამ ხელთ იგდო მთელი მისი ქონება (11, „ალამ არაიე აბასის“ გაგრძელება“). ამნაირად დაიღუპა საქართველოს ერთ-ერთი უმამაცესი შვილთაგანი, რომელმაც მთელი თავისი ცხოვრება სამშობლოს განთავისუფლების ბრძოლას მოახმარა. აქვე უნდა დავძინოთ, რომ თუმცა აჯანყება, რომელსაც გიორგი სააკაძე ედგა სათავეში სასტიკად იქნა ჩახშობილი, მაგრამ შაჰ აბასი მაინც იძულებული გახდა დათმობაზე წასულიყო და თეიმურაზი აღმოსავლეთ საქართველოს (ქართლ-კახეთი) მეფედ ეცნო.

დავითი (ირანული წყაროებით დაუდ ბეგი) 1615 წელს შაჰ აბასმა კახეთის გამგებელ ისა-ხანთან რწმუნებულად (ვექილად) დანიშნა. ქართველი სახელმწიფო მოღვაწე დაუდ ბეგი სათავეში ჩაუდგა შაჰ აბასის საწინააღმდეგო აჯანყებას, რომელსაც საერთო ხელმძღვანელობას თეიმურაზი უწევდა. შაჰმა აჯანყების ჩასაქრობად გამოგზავნა ყიზილბაშთა ლაშქარი ისა ხან ყორჩი ბაშის სარდლობით. მიუხედავად დიდი წინააღმდეგობისა, აჯანყებულები ყიზილბაშთა მოზღვავებული ლაშქრის წინაშე იძულებული იყვნენ უკან დაეხიათ.

დაუდ ბეგის მეთაურობით აჯანყებულებმა თან წაიყვანეა

ცოლები და ბავშვები, ვაჟკაცურად იბრძოდნენ მტრის ურდოების წინააღმდეგ და დიდი ზიანიც მიაყენეს მათ. ქართველებმა გაწყვიტეს ყიზილბაშთა ხელმძღვანელები, შეუპოვარი ბრძოლით გადალახეს ძნელად სავალი მთაგრეხილები და დაღესტნისაკენ წავიდნენ (11, გვ. 912).

ყაფარ ყარამანის (ფარამარზის) ძე (ირანული წყაროებით აბდ ოლ-ყაფარ ბეგი) იმ ქართველ მოღვაწეთა რიცხვს ეკუთვნოდა, რომლებმაც შაჰ აბასის დროს უმაღლეს სამხედრო ჩინს მიაღწიეს. მისი და შაჰის ჰარემში ცხოვრობდა. საქართველოში დაბრუნებულმა ყაფარმა მონაწილეობა მიიღო გიორგი სააკაძის მეთაურობით მოწყობილ აჯანყებაში. 1625 წელს თავის ყარაყალახანელ ხელქვეითებთან ერთად იგი ებრძოდა ყიზილბაშთა ლაშქარს, რომელსაც აზერბაიჯანის გამგებელი შაჰ ბანდე ხანი და შირვანელი ყაზახ ხანი მეთაურობდნენ. ქართველთა მხედრობამ დიდი მარცხი აგემა ყიზილბაშებს. ბრძოლაში მოკლეს მათი წინამძღოლები, მათ შორის შაჰ ბანდე ხანი, ტყვედ ჩაიგდეს ყაზახ ხანი. ყიზილბაშთა ჯარებმა ყარაყალახანიდან (არაგვის ხეობიდან) უკან დაიხიეს, ხოლო ყაფარ ბეგი მიიმალა (11, გვ. 1029).

ზაალ ერისთავის მოღვაწეობის შესახებ იუწყებიან ირანული წყაროები როსტომ ხანის ქართლში გამგებლობის პერიოდში. XVII საუკუნის 40-იან წლებში ქართველ თავადთა ჯგუფთან ერთად იგი დაუკავშირდა როსტომ ხანს, რათა ერთობლივად ებრძოლათ აბას II-ის წინააღმდეგ. მაგრამ მათ შორის მალე უთანხმოება ჩამოვარდა და როსტომ ხანმაც შაჰს აცნობა მათი განზრახვის შესახებ. აბას II-მ ზაალი თავისთან მოიხმო. იგი ისფაჰანს გაემგზავრა იოთამ ამილახვართნ და სხვებთან ერთად.

ზაალმა ირანში იცხოვრა XVII საუკუნის 60-იან წლებამდე. ამ ხნის მანძილზე იგი აბას II-ის უახლოესი კაცი ვახდა.

ის იმყოფებოდა იმ მაღალი რანგის პირთა შორის, რომლებიც დაესწრნენ ალაჰვერდი ხანის ხიდის გახსნის ცერემონიაში მდინარე ზაიენდე რუდზე ქალაქ ისფაჰანში. 1660 წელს იგი ახლდა შაჰს მაჰანდარანში დასვენების დროს. ამავე ხანებში მან მაჰმადიანობა მიიღო.

1661 წელს შაჰმა ზაალ ერისთავი კახეთის ნაწილის გამგებლად დანიშნა, სადაც იგი გაემგზავრა თავის ხელქვეითებთან ერთად (16, გვ. 287), მაგრამ მალე (1662 წ.) ის გახდა შაჰნავაზის მიერ მის წინააღმდეგ მოწყობილი შეთქმულების მსხვერპლი. იგი მოკლა შაჰნავაზის ბიძაშვილმა ოთარ ბეგმა, რომელმაც შემდეგ მისი ადგილი დაიკავა (ერისთავი გახდა) (16, გვ. 304).

აბას II-ის წინააღმდეგ ბრძოლაში მონაწილეობდნენ ზაალის ნათესავებიც — მისი ძმა რევაზი, ძმისწული ისა ხანი და სხვები. 1663 წელს მათ ბრალი დასდეს თეიმურაზთან კავშირში და შაჰნავაზის განკარგულებით ირანს გაიგზავნენ. იქ გაგზავნეს აგრეთვე ზაალის შვილები, რომლებიც აბას II-ის ბძრანებით ქერმანში გადაასახლეს (16, გვ. 311).

გივი ბეგ ამილახვარი იმ ქართველ მოღვაწეთაგანი იყო, რომლებიც თეიმურაზთან ერთად აბას II-ის წინააღმდეგ იბრძოდნენ. 1660 წელს რუსეთიდან თეიმურაზის დაბრუნების შემდეგ ირანის შაჰის მოთხოვნით და შაჰნავაზის განკარგულებით, იგი ქართველ მოღვაწეთა ჯგუფთან ერთად, შაჰის კარზე გაიგზავნა.

ერთი წელი გაატარა გივი ბეგმა ირანში. 1661 წელს იგი საქართველოში დაბრუნდა. ამ წელს ვახტანგმა (შაჰნავაზმა) ჩაახშო დასავლეთ საქართველოში მომხდარი აჯანყება და ქუთაისში იმერეთის მეფედ გამოაცხადა თავისი მცირეწლოვანი ვაჟიშვილი (14 წლის) არჩილი. გივი ბეგ ამილახვარი მეორედ

2. ირანში მცხოვრები ქართველი სახელმწიფო მოღვაწენი

ზაალ ბეგი იყო ერთ-ერთი პირველი სახელმწიფო მოღვაწე, რომელიც ირანში XVI საუკუნის 40-იან წლებში ცხოვრობდა შაჰ თამაზ I-ის სასახლეში და მისი ნდობითა და ყურადღებით სარგებლობდა, შაჰ თამაზს ცოლად ჰყავდ მისი და. ირანელი ავტორის სიტყვებით, ზაალ ბეგი და მისი ძმები — დავითი და თამაზი იყვნენ „ძლიერი და გაბედული ქართველი მხედართმთავრები. მათი და — ჯან ფერი ხანუმი, შაჰ თამაზ პირველის ცოლი იყო“ (12, გვ. 13).

1576 წელს, შაჰ თამაზის სიკვდილის შემდეგ ზაალ ბეგი მეთაურობდა ქართველ წარჩინებულთა ჯგუფს შაჰის კარზე, რომელიც მხარს უჭერდა ქართველი სულთან-ზადე ხანუმის შვილს, უფლისწულ ჰეიდარ მირზას, მაგრამ მათ ცდას, ტახტზე დაესვათ ჰეიდარ მირზა, წარმატება არ მოჰყოლია. იგი მოკლულ იქნა სასახლის წარჩინებულთა ინტრიგების შედეგად, ხოლო შაჰ თამაზ I-ის მემკვიდრე გახდა ისმაილ II.

სასახლის ცალკეულ დაჯგუფებებს შორის შეტაკების დროს დაიჭრა და მოკლეს ჰეიდარ მირზას მრავალი მომხრეთაგანი. მათ შორის იყვნენ ზაალ ბეგი და მისი ბიძა ალი ხანი (11, გვ. 196).

ხოჯნე ბეგი ეკუთვნოდა იმ ავტორიტეტულ ქართველ ემირთა რიცხვს, რომლებიც ტყვედ ჩავარდნენ 1556 წელს შაჰ თამაზ I-ის საქართველოზე მეოთხე ლაშქრობის დროს (11, გვ. 89). დიდი ხნის მანძილზე იგი თავის ძმებთან ერთად ცხოვრობდა და მსახურობდა სეფიანი შაჰების — თამაზ I-ის, ისმაილ I-ის, მოჰამად ხოდაბანდეს და აბას I-ის დროს. 1616

წელს მან მონაწილეობა მიიღო შაჰის საწინააღმდეგო შეთქმუ-
ლებაში სასახლის მსახურებთან, მათ შორის ქართველ ტამაზ
ბეგთან ერთად. შაჰ აბასის ბრძანებით ხოჯნე ბეგი სიკვდილით
დასაჯეს (11, გვ. 946).

ალაჰვერდი ხანი იყო ირანის ყველაზე ცნობილი მხე-
დართმთავარი და სახელმწიფო მოღვაწე შაჰ აბას I-ის მმართველობის დროს, მთავარი სეფაჰსალარი და ირანის სამხრეთი პროვინციების (ფარსის, ხუზისტანისა და სხვ.) მმართველი. ირანში თავისი მოღვაწეობის მთელ პერიოდში იგი უდიდესი ნიჭითა და ოსტატობით ასრულებდა მასზე მინდობილ ყველა სახელმწიფო და სამხედრო მოვალეობას. ამიტომაც იყო იგი შაჰ აბასის დიდი ნდობით აღჭურვილი პირი და შაჰის შემდეგ პირველ კაცად ითვლებოდა ქვეყანაში. ისქანდერ ბეგ მუნშის სიტყვებით: „საკითხების სამართლიანი და საზრიანი გადაწყვეტით ის თავისი დროის ყველა ბრძენზე მაღლა იდგა, ხოლო გამბედაობითა და სიმამაცით შეუდარებელი იყო თანამედროვეთა შორის“ (11, გვ. 696). მ. ზაჰთაბის დამოწმებით, „შაჰი მას აყენებდა ყველა სარდალზე მაღლა და თავის მამას უწოდებდა“ (13, გვ. 64). ისქანდერ მუნში თავის თხზულებაში ჩამოთვლის ოცზე მეტ მნიშვნელოვან სახელმწიფო და სამხედრო ღონისძიებას, რომლებიც ალაჰვერდი ხანის ხელმძღვანელობით განხორციელდა.

არ არსებობს ავტორთა ერთიანი აზრი ალაჰვერდი ხანის წარმოშობისა და მისი ირანში მისვლის მიზეზების შესახებ. ზოგიერთი ისტორიკოსი ფიქრობს, რომ თავისი წარმომავლობით ის სომეხი იყო (13, გვ. 63 და 20, გვ. 64). ირანელ ავტორ მ. ზაჰთაბის სიტყვით, იგი ბავშვობისას მონად იყო გაყიდული, ხოლო შემდეგ შაჰ თამაზ I-ის სამსახურში შევიდა (13, იქვე). სხვა ისტორიკოსები ამტკიცებენ, რომ ის წარმოშობით იყო უნდილაძიანთ ქართული ფეოდალური ოჯახიდან და ირანში

მისი მოსვლა ადგილობრივ ფეოდალებთან უთანხმოების შედეგი იყო.

ეს საკითხი სპეციალურად შეისწავლა პროფესორმა ვ. გაბაშვილმა. „უნდილაძიანთ ფეოდალურ სახლს მნიშვნელოვანი ადგილი ეკავა XVI—XVII საუკუნის ირანის პოლიტიკურ და სამხედრო-ადმინისტრაციულ სარბიელზე, — ხაზგასმით აღნიშნავს ვ. გაბაშვილი. ამ სახლის წარმომადგენლები (ალაჰვერდი ხანი, იმამყული ხანი, დაუდ ხანი, სეფი ყული ხანი...) ასრულებდნენ ფარსის, ლარის, განჯა-ყარაბაღის ბეგლარბეგების, აგრეთვე ირანის ყულარაღასების ფუნქციებს. ისინი აქტიურად მონაწილეობდნენ ირანის ეკონომიკურ და კულტურულ ცხოვრებაშიც. ამ ოჯახის პირველ მოხსენიებას ვპოულობთ XIII საუკუნის ქართულ დოკუმენტებში. ვხვდებით მათ XV საუკუნის დოკუმენტურ წყაროებშიც. როგორც ჩანს, ფეოდალური შინაბრძოლების ნიადაგზე უნდილაძეები იძულებულნი იყვნენ დაეტოვებინათ საქართველო და ირანს გადახვეწილიყვნენ“ (21, გვ. 83).

ალაჰვერდი ხანი ირანში იმყოფებოდა ისმაილ II-ის, მუჰამად ხოდაბანდეს და აბას I-ის გამგებლობის პერიოდში. 1592 წელს შაჰ აბასმა ის პოლკის მეთაურად დანიშნა, იბრძოდა ყარაღაღის მმართველის წინააღმდეგ (11, გვ. 435).

1596 წელს ჩაახშო შაჰ აბასის წინააღმდეგ მიმართული ქუჩ გილუეის მოსახლეობის აჯანყება; 1597 წელს გაანადგურა ლურისტანის, ხოლო 1598 წელს ჰერათის მმართველის ძალები (11, გვ. 515, 539, 596). 1601 წელს დაიპყრო ბაჰრეინის კუნძული სპარსეთის ყურეში; 1602 წელს შაჰს ახლდა ავღანეთში ქალაქ ბაგრისის ომში (II, გვ. 620). წლების მანძილზე ის სარდლობდა ირანის ჯარებს ოსმალეთის იმპერიის წინააღმდეგ ომში. ამ დროის მანძილზე მან დაიპყრო ქალაქი ბაღდადი 1603 წელს, თავრიზი 1604 წელს, ვანი 1605 წელს, განჯა და

შემახია 1606 წელს (11, გვ. 649, 663, 683, 720). 1612 წელს ალაჰვერდი ხანი ახლდა შაჰ აბასს უზბეკ ხან ველი მოჰამედთან შეხვედრაზე ხორასანში (11, გვ. 836), შემდეგ კი აზერბაიჯანში.

ალაჰვერდი ხანი აქტიურად მონაწილეობდა შაჰ აბასის სტრატეგიული გეგმების განხორციელებაში, დიდმნიშვნელოვან ღონისძიებებს ატარებდა ირანის ჯარის ბრძოლის უნარიანობის ასამაღლებლად. იმისათვის, რათა გაეძლიერებინა სამხედრო ოპერაციები ოსმალეთის ჯარების წინააღმდეგ, მან გადაწყვიტა ახლად შეეიარაღებინა ირანის ჯარი და ევროპულ ყაიდაზე გარდაექმნა იგი. ამ მიზნით მან დაიხმარა ინგლისელი სპეციალისტები, რომლებიც შედიოდნენ ირანში მყოფი ძმები შერლების (ანტონი და რობერტი) დელეგაციის შემადგენლობაში. ალაჰვერდი ხანი შეუდგა აგრეთვე მთამადნეულის მოპოვება-დამუშავებას, სამრეწველო საწარმოების შექმნას და ახალი სახის იარაღის წარმოებას (14, გვ. 279).

თავისი ბრწყინვალე ორგანიზატორული და სამხედრო ნიჭის წყალობით შაჰმა ალაჰვერდი ხანი დანიშნა ირანის ყველა სახის ჯარების: ქვეითთა, ცხენოსანთა და არტილერიის მთავარსარდლად (14, გვ. 280). 1605 წელს მან პირველი გამანადგურებელი დარტყმა მიაყენა ქალაქ ვანის მახლობლად ოსმალეთის ჯარებს, რომელთაც სულეიმან ფაშა სარდლობდა. დამარცხებულმა და უკანდახეულმა ოსმალებმა ბრძოლის ველზე 20 ათასზე მეტი მოკლული და დაჭრილი დატოვეს (15, გვ. 224). ალაჰვერდი ხანმა დიდი დამარცხება აგემა აგრეთვე ქალაქ თავრიზის მისადგომებთან ოსმალთა იმ ჯარებსაც, რომლებსაც დიდი ვეზირი ჩოღალი ოღლუ ხელმძღვანელობდა (11, გვ. 696, 702).

იმისათვის, რათა ხელი შეეშალა ირანის საქმეებში ევროპის ქვეყნების ეკონომიური და პოლიტიკური ჩარევისათვის,

რომლებიც უკვე XV საუკუნის დამდეგიდან შეუდგნენ ალმა-
სავლეთში თავიანთი კოლონიური ზრახვების განხორციელებას,
ალაჰვერდი ხანმა დაიწყო სპარსეთის ყურის ნავსადგურ-
რებსა და კუნძულებზე სამხედრო სიმაგრეების აგება. მან
ააშენა ციხე-სიმაგრე აბასი, რომელშიც ირანის გარნიზონი გა-
ნალაგა. მის ამოცანას შეადგენდა ბრძოლა პორტუგალიის რაზ-
მების წინააღმდეგ, რომლებმაც XVI საუკუნის დამდეგს
(1505 წ.) ირანის კუნძულები დაიპყრეს. 1613 წელს ალაჰვერ-
დი ხანმა ლაშქარი გაგზავნა თავისი შვილის იმამყული ხანის
მეთაურობით, რათა კუნძული პორმოზი დაეკავებინა (14, გვ.
273), მაგრამ მალე (1614 წ.) ალაჰვერდი ხანი გარდაიცვალა
და კუნძულის დაპყრობა გადაიდო. 1623 წელს ეს ამოცანა
იმამყული ხანმა შეასრულა.

—ალაჰვერდი ხანი ხელმძღვანელობდა აგრეთვე ქვეყნის კე-
თილდღეობის სამუშაოებს. განსაკუთრებულ ყურადღებას იგი
ირანის სამხრეთ რაიონებს უთმობდა. დედაქალაქსა (ქალაქი
ისტაჰანი) და სხვა რაიონებს შორის კავშირის დამყარების მიზ-
ნით, მისი ინიციატივით მდინარე ზაიენდე რუდზე (სიცოცხლის
მდინარე) დაიწყო უნიკალური ხიდის მშენებლობა, ეს ხიდი
ცნობილია „ალაჰვერდი ხანის ხიდის“ ანუ „სიოსე ფოლის“ („33
თალიანი ხიდი“) სახელით (13, გვ. 64). უნდა აღინიშნოს, რომ
დღევანდლამდე „ალაჰვერდი ხანის ხიდი“ წარმოადგენს ერთ-
ერთ მთავარ არტერიას, რომელიც ქალაქ ისტაჰანს აკავშირებს
ირანის სამხრეთ რაიონებთან.

საერთოდ, დიდი და მრავალმხრივი იყო ალაჰვერდი ხანის
სახელმწიფო და სამხედრო მოღვაწეობა. თავისი სამხედრო
გეგმების შესრულებაში შაჰ აბასი უწინარეს ყოვლისა ეყრდნო-
ბოდა ირანის სამხრეთ პროვინციების ჯარებს, რომლებსაც ალა-
ჰვერდი ხანი ედგა სათავეში (13, გვ. 64). მისი დაკრძალვის ცე-
რემონიაც მოწმობდა, რომ მის როლსა და დამსახურებას სა-

თანადოდ აფასებდნენ ირანში. ალაჰვერდი ხანის დაკრძალვაში მონაწილეობდნენ ყველა მაღალი რანგის პირები — სამხედრო და სახელმწიფო მოღვაწენი, მათ შორის თვითონ შაჰ აბასი. მისი ნეშტი წაიღეს ხორასანში, სადაც დაკრძალეს შიიტების მერვე მოციქულის—იმამ რეზას გვერდით ქალაქ მეშჰედში (11, გვ. 87; 13, გვ. 64).

იმამყული ხანი (ალაჰვერდი ხანის ძე) იყო შაჰ აბას I-ისა და მისი მემკვიდრე შაჰ სეფის გამგებლობის პერიოდის ერთ-ერთი დიდი სახელმწიფო მოღვაწე და მხედართმთავარი. მან შესცვალა თავისი მამა ირანის სამხრეთი რაიონების მმართველისა და ჯარების მთავარსარდლის პოსტზე. იმამყული ხანი უძღვევლი მთავარსარდალი იყო, არაერთხელ ედგა სათავეში ირანის ჯარებს ოსმალეთთან ომებსა და პორტუგალიელების წინააღმდეგ ბრძოლებში. ირანელი ისტორიკოსები ერთხმად ადიდებენ იმამყული ხანს, უწოდებენ მას „ჰორმოზის დამპყრობელს“ (17, გვ. 387), „დიდსულოვან, სამართლიან და მომთმენ ადამიანს (რომელსაც დიდად აფასებდა შაჰ აბასი, უყვარდა იგი)“ (3, გვ. 67), „ძლიერ მებრძოლს და დაუღალავ მეომარს“ (11, გვ. 935) და სხვ. ისინი ხაზს უსვამენ შაჰ სეფის მუხანათური ხელით იმამყული ხანის ტრაგიკული სიკვდილის ამბავს.

იმამყული ხანი აქტიურად მონაწილეობდა ფარსისა და სხვა პროვინციების კეთილმოწყობაში, ხელმძღვანელობდა ქალაქ ისფაჰანის რაიონში მდინარე ქუჰრანგის შეერთებას ზაიენდე რუდთან (11, გვ. 950, 14, გვ. 278).

იმამყული ხანი ჯერ კიდევ თავისი მამის სიცოცხლეში იყო ლარის პროვინციის მმართველი, 1608 წელს ის შაჰ აბასმა გაგზავნა ქურთისტანში, სადაც სათავეში ედგა ირანის სასაზღვრო რაზმებს ოსმალეთის წინააღმდეგ ომში, ხელმძღვანელობდა აგრეთვე ჯელალიანის ქურთი ტომის შაჰის საწინააღმდეგო აჯანყების ჩაქრობას (11, გვ. 791 და 807).

1609 წელს დიდვეზირ მუსტაფა ფაშას მეთაურობით აზერბაიჯანში ოსმალთა ჯარების შემოსევის დროს, იმამყული ხანი იყო იმ მხედართმთავართა შორის, რომლებმაც ოსმალებზე მოიპოვეს გამარჯვება. იგი ესწრებოდა აგრეთვე სამხედრო პარადს, რომელიც შაჰ აბასის სასახლის წინ შაჰის მოედანზე მოეწყო, თავრიზში მოპოვებული გამარჯვების აღსანიშნავად.

1614 წელს, როცა ალაჰვერდი ხანი გარდაიცვალა, შაჰ აბასი პირადად მივიდა იმამყული ხანთან და სამძიმარი გამოუცხადა მამის სიკვდილის გამო. 1616 წელს იმამყული ხანი ირანის სეფაჰსალარ ყორჩიხა ხანთან ერთად მეთაურობდა ყიზილბაშთა ლაშქარს აბაზა ფაშას წინააღმდეგ ომში. აბაზა ფაშამ, რომელმაც 40 ათასზე მეტი კაცი დაკარგა, ბრძოლა დატოვა, ირანის ჯარებმა კი ქალაქი ერევანი დაიკავეს (11, გვ. 907). 1617 წელს იმამყული ხანმა და ყორჩიხა ხანმა კვლავ დაამარცხეს ოსმანთა და თათართა 60 ათასიანი ჯარი არზრუმის მახლობლად. ბრძოლის დროს მოკლეს არზრუმის მმართველი — ჯარების მთავარსარდალი ჰასან ფაშა, ტყვედ ჩაიგდეს ვანის მმართველი მოჰამად ფაშა და სხვები (11, გვ. 935).

1619 წელს იმამყული ხანი მეთაურობდა სპეციალისტთა და სახელმწიფო მოღვაწეთა ჯგუფს, რომელშიც შედიოდნენ ლურისთანისა და ჰამადანის მმართველები ჰოსეინ ხანი, სეფი ყული ხანი და სხვები. ეს ჯგუფი ისფაჰანის მახლობლად აგებდა დიდ კაშხალს, რომელსაც ჰქონდა 150 მ სიგანე, 3000 მ სიგრძე და 80 მ სიმაღლე (11, გვ. 950). იმავე წელს მან დაიპყრო ქუჭვილუიეს რაიონი, რომლის მოსახლეობა შაჰ აბასს აუჯანყდა.

იმამყული ხანის მოღვაწეობის მეორე ეტაპი პორტუგალიელების წინააღმდეგ მის სამხედრო ოპერაციებს მოიცავს. პორტუგალიელებთან წარმატებითი ბრძოლების საწარმოებლად მან ხელშეკრულება დადო ინგლისის ფლოტის სარდალთან (ოსტ-

ინდოეთის კომპანიის ფლოტი), რომელიც იმ დროს ინდოეთის ოკეანის სანაპიროზე იმყოფებოდა (14, გვ. 274).

1624 წელს, სხვა მხედართმთავრებთან ერთად, იმამყული ხანი თან ახლდა შაჰ აბასს ოსმალთა ჯარების წინააღმდეგ ომში, ხოლო 1625 წელს დიდი დამარცხება აგემა არსელან ფაშას ბაღდადში (11, გვ. 1026 და 1027). 1627 წელს მან ახალი ლაშქრობა მოაწყო ბაღდადზე, რათა შემდეგში დაეპყრო ბასრა, მაგრამ შაჰ აბასის გარდაცვალების გამო ის იძულებული გახდა ირანში დაბრუნებულიყო (11, გვ. 1074).

იმამყული ხანი მოღვაწეობდა შაჰ სეფის გამგებლობის პერიოდშიც. მაგრამ შაჰ სეფი, რომელმაც ექვიანობის გამო მრავალი სამხედრო მოღვაწე მოსპო, ვერ იტანდა სახელმწიფოს მალალ წრეებში იმამყული ხანის დიდ გავლენას და 1632 წელს მან მოკლა იმამყული ხანი, მისი შვილები და ნათესავები. იმამყული ხანს ბრალი დასდეს, რომ იგი თავის ძმასთან დაუდ ხანთან და თეიმურაზ მეფესთან ერთად შეთქმულებას აწყობდა შაჰ სეფის წინააღმდეგ (13, გვ. 68). იმამყული ხანის მოკვლით შაჰ სეფიმ დიდი ზიანი მიაყენა ყიზილბაშთა სახელმწიფოს. თავზე ლაფი დაასხა სეფიან შაჰებს. ა. ეყბალის სიტყვით: „ღირსეული ამირას სიკვდილით მან მეტისმეტად შეირცხვინა თავი“ (14, გვ. 286).

ალაჰვერდი ხანის ძე დაუდ ხანმა ბავშვობა ირანში გაატარა. 1625 წელს მან ყარაბაღის გუბერნატორი მოჰამადყული ხან ყაჯარი შესცვალა. 1626 წელს, საქართველოში ყოფნის დროს, იგი დაუკავშირდა თეიმურაზ მეფეს, და შაჰ აბასთან ურთიერთობის დამყარება შესთავაზა (11, გვ. 1062). შაჰ აბასისათვის გაწეული დიდი სამსახურის გამო, იგი შაჰის დიდი ნდობით სარგებლობდა. დაუდ ხანი თან ახლდა შაჰს მის მიერ წამოწყებულ ლაშქრობაში, ბაღდადში მდგომ ოსმალთა იმ ჯარის წინააღმდეგ,

რომელსაც ხოსრო ფაშა სარდლობდა. ერაყის გზაზე ის შეხვე-
და თეიმურაზს, რომელიც ირანში ჩავიდა თანმხლებ პირებთან
ერთად. დაუდ ხანსა და თეიმურაზს შორის დამყარდა საიდუმლო
ლო კავშირი, რომელიც ყიზილბაშთა წინააღმდეგ ერთობლივ
ბრძოლას ისახავდა მიზნად (14, გვ. 289). 1632 წელს დაუდ
ხანი გადააყენეს. მას ბრალად ედებოდა შაჰ სეფის წინააღმდეგ
შეთქმულებაში მონაწილეობა.

დასკვნა

XVI—XVII საუკუნეებში საქართველო ოსმანი სულთნებისა და სეფიანთა შაჰების განუწყვეტელი შემოსევების ასპარეზი გახდა. ისინი თავიანთი პოლიტიკური გეგმების განხორციელებისათვის იყენებდნენ „ჯიჰადისა“ და „ლაზავათის“ (წმინდა ომები) რელიგიურ ლოზუნგებს და იპყრობდნენ საქართველოს მიწებს. ეს შემოსევები ქართველ ხალხს, მიუხედავად მედგარი წინააღმდეგობისა, დიდ მსხვერპლად უჯდებოდა, ნადგურდებოდა საუკუნეობით შექმნილი მატერიალური ფასეულობანი. ყოველივე ეს დამოწმებულია იმდროინდელი ირანელი ისტორიკოსების — ისქანდერ ბეგ მუნშის, მოჰამად თაჰერის, ვაჰიდ ყაზვინისა და სხვათა მიერ (11 და 18).

ამ დროის მანძილზე ქართველ მმართველთა მოღვაწეობა მიმართული იყო სამშობლოს განთავისუფლებისა და საქართველოს მთლიანობის მოპოვებისაკენ. ისინი ხალხთან ერთად და ხალხის სახელით გამოდიოდნენ. ქართველი ხალხის ბრძოლა იყო სამართლიანი და განმათავისუფლებელი, ხოლო სეფიანთა შაჰების და ოსმალო სულთნების ლაშქრობები — უსამართლო და დამპყრობითი. სამწუხაროდ ზოგიერთ ირანელ ავტორს, მათ შორის თანამედროვეებსაც, ძალა არ შესწევთ ობიექტურად წარმოადგინონ იმდროინდელი ამბები, მათ შესახებ თხრობას რეალობას მოკლებულ პოზიციებიდან წარმართავენ. ისინი ექცევიან თავიანთი სუბიექტივისტურ-ნაციონალისტური გრძნო-



ბების გავლენაში და ამართლებენ სეფიანთა შაჰების ქართველოში მოწყობილ ლაშქრობებს, რელიგიურ ვებით აფერადებენ მათ.

ცალკეული სახელმწიფო და პოლიტიკური საკითხების გადაწყვეტისადმი სხვადასხვაგვარი მიდგომის მიუხედავად, ქართველი სახელმწიფო მოღვაწეები ისახავდნენ ერთსა და იმავე მიზანს, რაც თავიანთი სამშობლოს დაცვის ინტერესებით იყო ნაკარნახევი. ამ მიზნის განხორციელებისათვის დამპყრობლების წინააღმდეგ შეურიგებელ ბრძოლებთან ერთად, ისინი მოქნილ პოლიტიკასაც ახორციელებდნენ.

ქართველ სახელმწიფო მოღვაწეთა და მხედართმთავართა მთავარი დამახასიათებელი თვისება იყო ვაჟკაცობა, სიმამაცე და ქედუდრეკლობა. ეს თვალნათლივ ჩანს ისეთ შემთხვევაში, როცა ქართველი მეომრები იბრძოდნენ უალრესად ძნელ პირობებში. მათ თავიანთი სიცოცხლე შესწირეს სამშობლოს (გიორგი სააკაძე, დაუდ ბეგი). სიმამაცე და თავდადება ახასიათებდათ ქართველ ქალებსაც. ესენი იყვნენ სიმონ მეფის ასული ელენე, თეიმურაზ I-ის დედა ქეთევანი, ლუარსაბ II-ის დედა, პაატას დედა (გიორგი სააკაძის მეუღლე რუსუდანი) და სხვები.


ირანში ქართველ მოღვაწეთა რიცხვი თანდათან იზრდებოდა, ამასთან ერთად იზრდებოდა ამ ქართველ მოღვაწეთა გავლენა ირანის კარზე. უმრავლეს სახელმწიფო საქმეებს შაჰი ხშირად მათი რჩევით წყვეტდა. ქვეყნის მართვაში ქართველთა როლის ზრდასთან ერთად გარკვეული ცვლილებები ხდებოდა თვით ირანის სახელმწიფოს სტრუქტურასა და შემადგენლობაში. ნაცვლად სეფიანთა მმართველობის დასაწყისში არსებული ყიზილბაშური მთავრობისა, რომელიც უმთავრესად თურქული ტომებისაგან შედგებოდა, შეიქმნა ახალი სახელმწიფო. რომელშიც ყიზილბაშებს მცირე ადგილი ეკავათ. წარჩინებულმა ყიზილბაშებმა დაკარგეს თავიანთი ხელმძღვანელი როლი

(17, გვ. 378). ახალი სახელმწიფოს შემადგენლობაში დიდი ხედვითი წონა მოიპოვეს ქართველებმა. სახელმწიფო ხების გადაწყვეტისას შაჰები უკავშირდებოდნენ აგრეთვე საქართველოში ხელისუფლების სათავეში მყოფ ქართველ მმართველებს, სარგებლობდნენ მათი რჩევით.

ირანის ცალკეულ მმართველთა დამპყრობლური პოლიტიკის მიუხედავად, XVI—XVII საუკუნეებში კვლავ ვითარდებოდა სავაჭრო-ეკონომიკური და კულტურული კავშირი ქართველ და ირანელ ხალხებს შორის. ორ ხალხს შორის არსებულმა მრავალსაუკუნოვანმა სავაჭრო ეკონომიკურმა ურთიერთობებმა შექმნა წინამძღვრები ურთიერთ კულტურული გავლენისთვისაც. ეს განსაკუთრებით ხელოვნებისა და ლიტერატურის დარგებს ეხება. ირანის ლიტერატურას გულისყურით ეკიდებოდნენ მეცნიერებისა და კულტურის ცნობილი ქართველი მოღვაწენი და შორსმჭვრეტელი მმართველები. XVI—XVII საუკუნეებში შეიქმნა სპარსული პოემების — „ხოსროვი და შირინის“, „ბაჰრამ გურის“, „ლეილი და მეჯუნის“ ქართული ვერსიები, ითარგმნა „ბახთიარ ნამე“, „ყაჰრამან ნამე“ და ბევრა სხვა. ამ საქმეში დიდი წვლილი შეიტანა თეიმურაზ I-მა. მნიშვნელოვანი მუშაობა გასწია დიდმა მეცნიერმა და მოაზროვნემ სულხან-საბა ორბელიანმა, აგრეთვე ვახტანგ VI-მ.

ქართველმა მოღვაწეებმა დიდი წვლილი შეიტანეს მსოფლიო კულტურისა და მეცნიერების საგანძურში. ამასთანავე ამით მათ განავითარეს კულტურული ურთიერთობანი ირანსა და საქართველოს შორის.

XVI—XVII საუკუნეებში ირანში ცხოვრობდნენ და მოღვაწეობდნენ ქართველი პოეტები და მხატვრები (მათ შორის იშთაჰა და ნიშათ გურჯები და სხვ.), მათი ნაწარმოებები ინახება ირანის არქივებსა და ცენტრალურ ბიბლიოთეკებში. ეს ტრადიცია დღესაც გრძელდება.



დიდ მუშაობას ეწევიან თანამედროვე ქართველი ირანის-
ტი მეცნიერები და მკვლევარნი. ისინი თარგმნიან სპარსულ
ლიტერატურის კლასიკურ და თანამედროვე ნიმუშებს (პოე-
ზია და პროზა), ქმნიან ქრესტომატიებს, იკვლევენ საქართვე-
ლოსა და ირანს შორის არსებული კულტურული კავშირის ის-
ტორიას. ამ საქმეში ხარვეზად მოჩანს ის, რომ ირანელი მკით-
ხველები და პროფესიონალები ჯერ კიდევ საკმაოდ არ იცნობენ
ქართველი ხალხის ლიტერატურულ მიღწევებს. არ არსებობს.
ან არასაკმაო რაოდენობით არსებობს კლასიკური და თანამე-
დროვე ქართული ლიტერატურის ნაწარმოებების სპარსულ
თარგმანი. საჭიროა ამას ყურადღება მიექცეს.

ამ საქმეში ჯერ კიდევ არსებულ ნაკლოვანებათა აღმო-
ფხვრის გზა ორ ხალხს შორის კულტურული კავშირის გაფარ-
თობა და განვითარებაა.

ბამოუენებული ლიბერატურა:

1. ჰასან ფირინია, მოშორ ოდ-დოვლე, ირან-ე ბასთან (ძველი ირანი), თეირანი, 1928.
2. Н. А. Бердзенишвили, В. Д. Дондуа, М. К. Думбадзе, Г. А. Меликишвили, Ш. А. Месхия — История Грузии, т. I, Тб., 1962.
3. ა. რ ა ზ ი, თარიხ-ე მოფასალე ირან (ირანის დეტალური ისტორია), მე-2 გამოცემა, თეირანი, 1956.
4. არ ტ ე რ ქ რ ის ტ ე ნ ს ე ნ ი, ქ ა რ ნ ა მ ე - ი ე შ ა ჰ ა ნ (მეფეთა ბიოგრაფია) ბ. ამირხანისა და ბ. სარქარათის მიერ შესრულებული სპარსული თარგმანი, თავრიზი, 1971.
5. М. В. Цоцелия, Из истории взаимоотношений Картли с Сасанидским Ираном, Тб., 1975.
6. А. А. Фрейман, Несколько замечаний к Армазской билингве Г. В. Церетели, Известия АН СССР, Отделение языка и литературы, т. V, вып. 2, М., 1946.
7. Г. В. Церетели, Эпиграфические находки в Мцхета — древней столице Грузии. ВДИ, № 2, 1948.
8. Г. А. Ломтатидзе, Культура и быт Грузии в IV—VII вв., Очерки по истории СССР III—IX вв. Глава II, М., 1958.
9. Коллективная работа (И. П. Петрушевского и др.), История Ирана, М., 1977.
10. შ. ბ ა ჰ ა რ ი, მ ა ლ ე ქ - ო შ შ ო ა რ ა, ს ა ბ ქ - შ ე ნ ა ს ი (სტილისტიკა), ტ. III., თეირანი, 1959.
11. ის ქ ა ნ დ ე რ ბ ე გ მ უ ნ შ ი (თორქემანი), თარიხ-ე ალამ არაი-ე აბასი (ქვეყნის დამამშვეენებელი აბასის ისტორია), ტ. I და II, მე-2 გამოცემა, თეირანი, 1971.
12. ნ. ფ ა ლ ს ა ფ ი, ზენდეგანი-ე შაჰ აბას-ე ავეალ (შაჰ აბას I ცხოვრება), ტ. II, თეირანი, 1956.
13. მ. ზ ე ჰ თ ა ბ ი, შახსიათჰა-იე ნამი-იე ირან (გამოჩენილი ირანელი მოღვაწე). თეირანი, 1969.

შინაარსი

I.	საქართველო-ირანის ურთიერთობათა მოკლე მიმოხილვა უძველესი დროიდან XVI საუკუნემდე	3
II	სეფიანთა სახელმწიფოს წარმოშობა ირანში	13
III.	ქართველ სახელმწიფო მოღვაწეთა ურთიერთობა ირანთან	
	XVI—XVII საუკუნეებში	20
	ა. კახეთის გამგებლები	20
	ბ. ქართლის გამგებლები	39
	გ. სამხრეთ და დასავლეთ საქართველოს გამგებლები	51
	დ. ცალკეული ქართველი სახელმწიფო მოღვაწენი	55
	ე. ირანში მცხოვრები ქართველი სახელმწიფო მოღვაწენი	62
	დასკვნა	71
	გამოყენებული ლიტერატურა	75

1928 წ. 3. 3

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი
 ფილოსოფიის ფაკულტეტი
 1928 წ. 3. 3

ს. ბ. № 2329

რედაქტორი ზ. შარაშენიძე
გამომცემლობის რედაქტორი ქ. თავართქილაძე
მხატვარი ა. ტუხაშვილი
მხატვრული რედაქტორი რ. მაჭარაშვილი
ტექნიკური რედაქტორი ე. ციხელაშვილი
კორექტორი გ. შალანია
გამომწვეები დ. იამანიძე

ს. ბ. № 2329

გადაეცა წარმოებას 9/V-82 წ. ხელმოწერილია დასაბეჭდად 14/VII-82 წ.
საბეჭდი ქალაქი № 2. 70×108¹/₃₂. პირობითი ნაბეჭდი თაბახი. 3.32
პირ. სალ. გატ. 3,34. საალრ.-საგამომც. თაბახი 2.87, უე 12804 ტირაჟი 2.000.
შეკვ. № 868
ფახი 10 კაპ.

Мортеза Мехти Фатехи

ИРАНСКИЕ МАТЕРИАЛЫ

XVI—XVII ВЕКОВ О ГРУЗИНСКИХ ДЕЯТЕЛЯХ

(На грузинском языке)

Издательство «Сабчота Сакартвело»

Тбилиси, Марджанишвили, 5.

1982

კუთ.

12/2



საქართველოს სსრ გამომცემლობათა,
პოლიგრაფიისა და წიგნის ვაჭრობის საქმეთა სახელმწიფო
კომიტეტის თბილისის № 12 სტამბა,
უზ. ჩხეიძის ქ. № 8.

საქართველოს სსრ გამომცემლობათა,
პოლიგრაფიისა და წიგნის ვაჭრობის საქმეთა სახელმწიფო
კომიტეტის თბილისის № 12 სტამბა,
უზ. ჩხეიძის ქ. № 8.
Тбилисская типография № 12 Государственного комитета
Грузинской ССР по делам издательства, полиграфии и
книжной торговли. Ул. Уш. Чхеидзе, 8.

K69.224

2

УДК 69.001.001
69.001.001